645
1981



# საქართველოს ქალი

ოქტომბერი
№ 10 1981 წ

ISSN 0321-1509

# საქართველოში რთველია, რთველი...



ვ. მინჯორის ფოტო

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვეხმაურებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებას

ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე იზრდება ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის: ეს არის ახალი სახლების მშენებლობა, მათი სამართლიანი განაწილება, საბინაო ფონდის დაცვა, დაბალი საბინაო გადასახადი.

საბინაო მშენებლობა საბჭოთა კავშირში დიდი გაქანებით მიმდინარეობს. წელიწადში ათ მილიონამდე კაცი იხდის ახალმოსახლეობას. საბინაო მეურნეობის განვითარების, საბინაო ფონდის გამოყენების და დაცვა-შენახვის გაუმჯობესების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის.

# ვაზისუბანი

ცის კიდეზე მღვრიე ნაცრისფერი ჩალვრილა და ჯერ კიდევ თვალგაუხელელი დილის სიგრილე უბეში ჩიტივით მიზის. შორს, შავნაბადას იქით, ღამე ჯერ კიდევ კამეჩივით წევს... მაგრამ ცოტა ხანი და სინათლის ჩანჩქერი წაიღებს ბინდ-ბუნდის ცრიატს, ტოროლას ცაში აისვრის და ლილოს მინდვრებზე ფეხშიშველა ბავშვივით გაირბენს დილა...

ვაზისუბანი...

არის კახეთში ასეთი სოფელი, ისიც მემამულე ვაზის სამფლობელო, „ქართლის ცხოვრების" ცალკე ფურცელი და საკითხავი... აქაური ვაზი ვერაფერმა დააჩოქა. როდის ჩასახლდა ეს სოფელი კახეთის ძველ მიწაზე, ალაზანსაც არ ახსოვს. ანდა რა საკითხავი და საპასუხო ეს არის — სოფელი ზღაპარზე ძველი და საქართველოზე ახალგაზრდაა, დაახლოებით „მრავალჟამიერის" ხნისა...

ვაზო, შვილივით ნაზარდო, ემაგ მტევანში მარტო მიწის რძე და მზის ნექტარი კი არა, ქართველი დედის ცრემლიც გიდგა და, სანამ ამ მიწაზე შენ სახლობ, საქართველო ქორწილსაც გადაიხდის, მკვდარსაც ქართულად დამარხავს და უკვდავებიდან გარეთ ფეხს არ გაადგამს... ამიტომაც დაერქვა თბილისის ამ ახალ უბანს „ვაზისუბანი"...

გავცქერი შემაღლებულ ბექობზე გაშლილ თბილისის ახალსახლობას. თვალი ყველგან სილამაზეს იჭერს და გული ხალისით ივსება. ეს ახალი ვაზისუბანი, ძველი თბილისის დაბრუნებული ისტორია, ყველა ტრიბუნაზე ხმამაღლა ლაპარაკობს იმ დიდი ზრუნვის შესახებ, რასაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იჩენს იმისთვის, რომ ქართველს ქართული არაფერი დაეკარგოს, თბილისის შვილს არც სილამაზე აკლდეს, არც ბინის მაღალი ჭერი. ჩემს წინ ნიავი წაიქცა და მოულოდნელად ჩამოცხა. მტრედები ღუღუნებენ სახლის სახურავებზე... დიდხანს ვერ ვაცილებ თვალს ამ სილამაზეს... ესეც სიმბოლურია — საბჭოთა ხალხი აშენებს და აშენებულით ტკბება, მზეს კომუნიზმისკენ მიაგორებს და, როგორც მშვიდობის დიდმა ხუროთმოძღვარმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ბრძანა, ჩვენთვის მშვიდობიანი ცა, მშრომელი დღე, შემოქმედი აზრი მთავარია და ძვირფასი.



...რქსის სახ. საქ. სსრ ...წიგნ. რესპუბლიკ. ...ბლიოთეკა

დიახ, შენებაა ჩვენი სტიქია, ჩვენი სულის ძახილი და არა სხვის მიწაზე ტყვიის თესვა...

მაგრამ ოკეანის მეორე ნაპირას სხვაგვარად ფიქრობენ — ომის აფთარი დაიმშა, სიბერის ბალანი სცვივა, ადამიანის სისხლის წყურვილი ალრჩობს და ავად ყმუის... ისმინე მსოფლიოვ — შენებაა ჩვენი სტიქია, ადამიანის ბედნიერების შენება...

მზით მორწყულ მიწაზე მსუბუქი ნისლი ბოლავს... წუხელ ცა გაირღვა, ღვარცოფი მოვარდა და ახლა მზე თავის საქმეს აკეთებს... ერთხანს მავიწყდება, რომ აქ კალამმა მომიყვანა. სიტყვამ რამდენიმე ბინაში მაინც უნდა შეიხედოს, რომ მკითხველს სიმართლე მიუტანოს...

— გამარჯობათ, ქალბატონო!

მოხუცი ქალი ჯერ გაკვირვებით მიყურებს, მერე ჩვეული მოძრაობით თავშალს ისწორებს და ხმადაბლა ამბობს:

— გაგიმარჯოს, შვილო!

ჩემი მისვლის მიზეზი რომ გაიგო, სახე ღიმილით გაიგრილა და წინ წამიძღვა.

— ჩვენა, შვილო, ბერდიაშვილები ვართ. ორი ბიჭი მყვანდა. უფროსი ვარშავის ახლოს წევს, იქ წააქცია ტყვიამ, დედისა კი არა, ცრემლის შვილი ყოფილა ჩემი ალექსი, მერე როგორი იყო, გაჩვენებ, სურათში ძლივს ეტევა... მეორე ბიჭი ქვრივის ლუკმით გავზარდე და იმანაც დედის ამაგი მღვრიე წყალს არ გაატანა, ქარხანაში მუშაობს, ხელფასი კარგი აქვს, არა გვშია და არა გვწყურია, ბინაც ისეთი მოგვცეს, შედი და ნუღარ გამოხვალ. ერთი ქალიცა მყავს, ტექნიკუმი კარგად დაამთავრა, სამედიცინოსთვის ემზადებოდა, მაგრამ შინ ვინ გამიჩერებდა ისეთ ლამაზსა და ვაზივით პატიოსანს! სიყვარულმა ხელი დაუქნია და ისიც ჩიტივით გაფრინდა. სიძე დოცენტი მყავს, ოჯახს თავზე ევლება, ენაცვალოს იმას ჩემი თავი... არც შვილიშვილებით ვარ ღარიბი...

არა, კეკე ბებო არ ტყუოდა — ნათელი, ფართო ოთახები ხალისით გავსებდა, ფანჯრის რაფაზე მზე იჯდა, სათავსოებიც ოსტატის ხელისა იყო... არც კარი ება თბილისის ზოგი ახალმშენებლობისა — ნიავი რომ მიაწვება და კვნესას და ვიშვიშს ატეხავს. კმაყოფილება ვერ დავფარე...

— მშვიდობაში მოიხმარეთ, კეკე ბაბო!

— გმადლობ, შვილო, გმადლობ, იხაროს და იმრავლოს ჩვენმა ხალხმა, მე გისმენ და შენ მითხარი — მთავრობა რომ ასე ზრუნავს, გიწვდის და გაძლევს, შენ რა მღვრიე კაცი უნდა იყო, რომ ხალხისთვის შრომამ დაგღალოს, საქმე ხელიდან გაგივარდეს...

ვაზისუბანი...

მზე ცის წვერისკენ მიიწევდა, აქა-იქ გაფენილ ჩრდილს აშრობდა. ასფალტი შავი ცომივით იზილებოდა, თვალს სიმწვანე მოსწყურდა... ეს კი ვერ მოგიწონეთ, ვაზისუბნელებო. ამ ნახევრად ტიტველ ზეგანს მარტო ლამაზი შენობები და ადამიანები კი არა, სიმწვანეც უნდა ამშვენებდეს, ისე ამ მზეთუნახავს ცალი წარბი არ ექნება... აბა რა იქნება ვაზისუბნელის შინიდან გარეთ გასვლა, თუ ამ ფართო ქუჩებზე თქვენთან ერთად ხემაც არ ჩაისეირნა, ძვირი ჟანგბადი არ გასვა. ყვავილის ჩურჩული არ გაგაგონა, ნიავის საგალობელი არ მოგასმენინა? ის კი არა, თბილისის ეს ახალსახლობა ვაზის სავანედ უნდა იქცეს. ხეივანი ქუჩის მწვანე ჭერია და, გარდა ამისა, უბნის მცხოვრებთა გარჯასიკეთეზეც ხმამაღლა მღერის. ამაზე ბევრი მიფიქრია, როდესაც თბილისის სხვადასხვა უბანში ჩასახლებულ ვაზსა და ხეივანს შევხედავ ხოლმე. სხვა სხვა არის, მაგრამ ვაზისუბანი ამ მხრივ თბილისის უპირველესი მეზვრე და მეღვინე უნდა გახდეს. ქართული მიწა ჯერ ვაზისაა და მერე ქართველისა, მზის ნექტარით სავსე მტევნები თვალში ვერ ჩაეტევა თბილისელ ვაზისუბნელს, მოსავლით კი იქნებ გოდრები ვერ გაავსოს, მაგრამ საკუთარი ხელით მოწყვეტილმა მტევანმა მაინც სხვა გემო და ყუათი იცის... ესეც იქით იყოს — თბილისს სილამაზედ შეემატება, მის სახელს კიდევ უფრო შორს გაიტანს, კიდევ უფრო მაღლა აისვრის...

ვაზისუბანი...

ბევრი სხვა საფიქრალიც ამედევნა ახალ უბანში სიარულისას — განა არა, აქა-იქ, დიდი კორპუსები უკან განეულან, რათა ბავშვებისთვის ბურთის წინ გასაგდები ადგილი დაეთმოთ, მაგრამ ეს ფრჩხილზე დასატევი ვერ ეყოფა დიდ [illegible]. — აბა მოსკოვისკენ გაიხედეთ — ჯერ საერთო ეზო-[illegible] ხეს გეგმავენ და მერელა აკადრებენ წერაქვის დარტყმას რუსულ მიწას... იქაურ ბავშვს ქუჩაში რა უნდა — კარწინა აქვს ზღაპარიც, საქანელაც, ეშმაკის ციბრუტიც და გემოვნებით შემკული სხვა სანატრელიც. სამწუხაროდ, ეს უპირველესი ხელსაქნარი ისე აკლია ვაზისუბანსაც, როგორც დიდ ქორწილს ნეფე და პატარძალი. ბავშვს კი გასარბენ-გამოსარბენი სჭირდება, მზესთან მარტო დარჩენა. ვერც ნიავს დააბამ და ვერც ბავშვს გააჩერებ სახლში მთელი დღის მანძილზე...

ვაზისუბანი...

არაფერი დაუკლიათ მშენებლებს, რომ აქაურ თბილისელს სიხარული არასოდეს გასცვეთოდა. ბინა ხომ ადამიანის მყუდრო სავანეა, მისი ფიქრის ბუდე, ოცნების სათავე, დაღლილი გემის მშვიდი და ლამაზი ნავსადგური... ეს ყველაფერი სიკეთეში მოახმაროს ვაზისუბნელს, მაგრამ სიტყვა კალმიდან გადმომიხტა, თორემ არ ვიტყოდი — თბილისის ამ ახალი უბნის ფართო ქუჩებზე ნაკლი არსად დევს, ასფალტი მაგრად ზის, ბორდიურებიც გემოვნებით შემოვლებია ქუჩის კალაპოტს... ამიტომ უფრო ჩამრჩა თვალში აღმართზე ავლილი რამდენიმე ჩიხი თუ შესახვევი. აქ კი მარცხენა ხელით უმუშავიათ, გზა დაუკოჭლებიათ ნაწვიმარ ორმოებს თუ ამობურცულ ასფალტს... იქნებ ეს სათქმელი და საწერიც არ იყოს, მაგრამ კოკას მაინც არ უნდა სწყუროდეს... იმედია, საქმის თვალი ამასაც დაინახავს და მრუდეს ლარზე გაასწორებს...

წელან ვთქვი — თბილისში რაც ამ უკანასკნელ წლებში გაკეთდა, საუკუნეს ეყოფა. შთამომავლობა დაგვლოცავს ამისთვის. ჩვენს დედაქალაქს არც ფუსფუსა „რიყე“ დავუკარგეთ, არც ყარაჩოხელი „სეიდაბადი“, არც გრილი ციხისუბანი. წარსული აწმყოს ლამაზი ბავშვობაა და სიძველის კოლორიტი არ უნდა წაიშალოს, ეროვნული დვრიტა არ უნდა ჩახმეს. უამისოდ თბილისს ნუ მაჩვენებ, მაგრამ ეს ყველაფერი მარტო ძველ უბნებს არ მოეკითხებათ. ფეხდაფეხ შემომივლია ჩვენი დედაქალაქის ახალმშენებლობები და არსად მინახავს, რომ ოსტატი ქვაში დამალულ სილამაზეს ეძებდეს, შენობის ფასადზე იჯდეს გაცინებული ჩუქურთმა, ზოგჯერ ამიტომაც გაურბის ტურისტის თვალი ახალ უბნებს და სანახავად უფრო ძველსა და მისთვის უცხოს ეტანება. რაც აქ სწერია, მოსასმენად სანატრელი არ არის, მაგრამ არც უთქმელობა აგვიშენებს ჩვენს „ჯვარსა“ და „სვეტიცხოველს“. ამ მხრივ, სხვას რომ თავი დავანებოთ, ბაქო და ერევანი, შუა აზიის დედაქალაქები წინ გვიდგანან — საძირკველს არ გასჭრიან, ლარში აგურს არ ჩააგდებენ, თუ მაღლა წასულმა კედელმა ეროვნული სული, ეროვნული არქიტექტურის ეშხი და კოლორიტი თან არ წაიღო და მზესთან არ აიტანა. ეს სიმდიდრე ვაზისუბანსაც აკლია.. მე იმას არ ვამბობ, რომ თითო შენობა დროის უკითხავად ვაშენოთ, ხარაჩოებზე ათწლეულები იდგნენ, თითოეული ქვა ვჩარხოთ და ქართულად ვთალოთ. არა, როცა ადამიანი ბინას ელის, წუთმა დღისა უნდა გააკეთოს, ასეთი ფუფუნებისთვის არა გვცალია, მაგრამ არც ის უთქვამს ვინმეს, რომ ქართველ არქიტექტორებს კონსტანტინე არსაკიძემ არ გაუწოდა თარაზო და გონიო... მათ შესწევთ ნიჭი და ძალა იმისთვის, რომ კოსმოპოლიტი შენობა რამდენიმე დეტალით, თამამი შტრიხით ეროვნული სულის მშვენიერებას აზიარონ...

ვაზისუბანი...

დღემ დაიბუდა. მზე მთების იქით გადაგორდა და სხივთა მეწამური შლეიფი დატოვა მთაწმინდაზე... თბილისი მწუხრის უნაზეს ფერებში გაეხვია. აქედან კარგად ჩანს მწვანეში გნოლივით ჩამჯდარი რაიონი, რაინდი ნარიყალა, ცაში ასროლილი მინარეთი გოგირდის აბანოებთან, ვახტანგ გორგასლის მძლე ფიგურა და მაღლა შემართული მარჯვენა ხელი...

ეს თბილისია — ჩვენი სიყვარულის დედა, ჩვენი სიმღერის ამოუღლეველი სათავე, ჩვენი ჩაუმქრალი კერა...

ჯემალ აფციაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ყრილობამ მოითხოვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების

**საპასუხოდ**

მსუბუქ მრეწველობაში გავადიდოთ პროდუქციის მოცულობა 18-20 პროცენტით. გავზარდოთ მომეტებული მოთხოვნის მაღალხარისხოვანი საქონლის, უწინარეს ყოვლისა, სხვადასხვაგვარი ბამბის, შალის, აბრეშუმის, სელის ქსოვილებისა და ტანსაცმლის, ტრიკოტაჟის საცვლებისა და ზედა ტრიკოტაჟის, წინდის, ტიულ-ფარდის ნაწარმის, ფეხსაცმლის, ბეწვის ქუდების, ხელოვნური ბეწვისა და ტყავის გამოშვება. მეტი ყურადღება დავუთმოთ საბავშვო ასორტიმენტის საქონლის გაფართოებას და ხარისხის გაუმჯობესებას. გავაუმჯობესოთ სპეციალური ტანსაცმლისა და სპეციალური ფეხსაცმლის, განსაკუთრებით ქალის ტანსაცმელ-ფეხსაცმლის ასორტიმენტი და ხარისხი.

(სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები).

# რატომ არა გვაქვს?



„ძვირფასო რედაქციავ, დაგვეხმარეთ, ვერ გვიშოვია პატარების ბამბის საცვლები. არც რბილი, მსუბუქი ფეხსაცმელი აწყვია მაღაზიებში. რატომ?“

„ვერსად შევხვდი ბამბის თეთრეულს (ქალისას), რომელიც გამოსახარშად ვარგისია. ნეტავ სად გაქრა?“

„ხანში შესული ქალი ვარ, დავქვრივდი. ახლა უკვე კერვაც მიჭირს. მინდა ჩავიცვა თალხი ფერის კაბა. სამწუხაროდ, ვერ ვიშოვე. თუ შევხვდი, ისიც პატარა ზომისაა. იქნებ ჩვენმა ფაბრიკებმა დაამზადონ შავი ფერის დიდი ზომის ტანსაცმელი? ვერ გამიგია, ამაზე რატომ არ ფიქრობენ?“

ასე და ამგვარად... რედაქციაში ვხსნით წერილებს, სადაც ჩვენი მკითხველების სამართლიანი გულისწყრომა გვხვდება.

ამიტომ რედაქციის მრგვალ მაგიდასთან მოვიწვიეთ თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორი ლალი დეკანოსიძე, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტრიკოტაჟისა და საფეიქრო-საგალანტერიო დარგის განყოფილების გამგე გენადი ზაკალაშვილი, ამავე სამინისტროს სამკერვალო დარგის ინჟინერი მზია წამალაშვილი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის განყოფილების მთავარი ტექნოლოგი თინა ანატოლევა, უნივერმაღ „თბილისის“ დირექტორი მერი სეხნიაშვილი, უნივერმაღ „თბილისთან“ არსებული კონიუნქტურისა და მოსახლეობის მოთხოვნის განყოფილების გამგე შალვა მაყაშვილი.

გულახდილი საუბარი დიდხანს გაგრძელდა. ცხარე კამათი გაიმართა, რათა გამოგვენახა გზები აუცილებელი მოთხოვნების საგნებით მოსახლეობის დაკმაყოფილებისათვის.

გთავაზობთ რედაქციაში მოწყობილ შეკრებაზე გამოთქმულ მთავარ აზრებს.

ლალი დეკანოსიძე:

მწარმოებელთა ყველა საქმიანობა სარკესავით ჩანს ვაჭრობაში; ჩვენ ვცდილობთ მომხმარებელი კმაყოფილი გავისტუმროთ.

მართლაც ჭირს დიდი ზომის ტანსაცმლის შოვნა. ამ ხარვეზებს ვასწორებთ უნივერმაღის კომბინატში. იშვიათია თალხი ფერის კაბაც. თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკებმა გააუმჯობესეს მუშაობა (№ 1 და № 3 ფაბრიკები), ქუთაისი კი ჩამორჩება. მომხმარებელი მოითხოვს ბამბის ქსოვილს, კაცის თეთრეულს;

ეროვნული ბიბლიოთეკა



შალვა მაქაშვილი:

ჩვენ ვსწავლობთ, თუ რა სჭირდება მომხმარებელს, ვწერთ წარმოებას. ბევრს ლაპარაკობენ, რატომ არ იშოვება ლოგინის თეთრეულიო. ჩვენ კი მეტს ვმუშაობთ, ვიდრე წინათ, მაგრამ რატომღაც მაინც შეიქმნა დეფიციტი. ახლა მყიდველი თეთრეულს გაცილებით მეტი რაოდენობით ყიდულობს, ვიდრე ოჯახის საჭიროება მოითხოვს. ლოგინის თეთრეული თუ შარშან 3 მილიონი მანეთისა გვქონდა, წლეულს გეგმით 6 მილიონი მანეთისა გვექნება.



მზია წამალაშვილი:

„ამირანის" ნაწარმი მართლაც უხარისხოა. ხშირად არც მარკირებაა სწორი. იქ მთელი სირთულეებია. სამუშაო პირობები მძიმეა (ძველი შენობა, სიცხე, ორთქლი), ამიტომაც გახშირდა მუშების დენადობა. ამჟამად შეიცვალა ხელმძღვანელობა.



გენადი ზაკალაშვილი:

ღონისძიებები განვახორციელეთ. იმედია, თეთრეულის ნაკლებობას ეშველება. ხარისხის მხრივ მომხმარებელთა პრეტენზიები სწორია. თუმცა ჩვენი ნაწარმი, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესდა. ტრიკოტაჟი ძალიან ფაქიზია. ტრანსპორტირების დროს ფუჭდება მისი გარეგნული სახე. პოლიეთილენის პარკებით 30 პროცენტითაც არა ვართ დაკმაყოფილებული. ვაჭრობისადმი პრეტენზიები გვაქვს, ნაწარმი საწყობებშია მიყრილი.

ლალი დეკანოსიძე: საწყობებში ადგილი არ არის და იმიტომაც.

რეპლიკა: არ გვაქვს ბამბის და კაპრონის წინდები, განსაკუთრებით შავი ფერისა.

გენადი ზაკალაშვილი: წლეულს გათვალისწინებულია წინდის რაოდენობა 2 მილიონ 800 ცალამდე გაიზარდოს. შემოვიტანეთ მანქანები ჩეხოსლოვაკიიდან.

რეპლიკა: რატომ არ ვარგა სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის" შეკერილი კაცის კოსტუმები?

თინა ანატოლევა:

ხარისხი დღეს უპირველესი პრობლემაა. ბევრია წუნდებული. ფეხსაცმლის 80 პროცენტი წებოთი მზადდება, წებო შემოგვაქვს, იგი უხარისხოა, ამიტომ ფეხსაცმელს მალე ძვრება ლანჩი. წელიწადში 15 მილიონი წყვილი ფეხსაცმლიდან 350 ათასი უკან ბრუნდება უვარგისობის გამო. ფეხსაცმლის მოდელი ლამაზია, ტყავი კი ცუდი ხარისხისაა.

* * *

კამათი და მსჯელობა კვლავ შეიძლება გაგრძელებულიყო, მაგრამ ყველა ამ საკითხზე ავტორიტეტული აზრი ვთხოვეთ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრს ამხ. გ. გამცემლიძეს, რომლის წერილსაც ვაქვეყნებთ.



მერი სეხნიაშვილი:

საქმეს მაშინ ეშველება, როცა ყველა თავის საქმეს პასუხისმგებლობით შეასრულებს.

უნივერმაღ „თბილისში" ბევრი საქონელი ჩაწოლილია, არ იყიდება. ეს იმიტომ, რომ უგემოვნო მოდელით არის დამზადებული. ხშირად მოდელი სხვა ქსოვილისაგან მზადდება, მასობრივ წარმოებაში კი სხვა ქსოვილს იყენებენ.

ასევე უხარისხოა ფეხსაცმელი, განსაკუთრებით ფაბრიკა „ისანში" დამზადებული.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ყველაფერი ადამიანისათვის

გ. გამცემლიძე
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი

მეათე ხუთწლედში, წარმოების ზრდის სწრაფი ტემპის შედეგად რესპუბლიკის მსუბუქმა მრეწველობამ დახძლია ერთ სულ მოსახლეზე ძირითადი სახეობის პროდუქციის წარმოებაში არსებული საგრძნობი ჩამორჩენა.

არც მეთერთმეტე ხუთწლედის დასაწყისია ურიგო ჩვენი მრეწველობისათვის. სამინისტრომ უზრუნველყო წლევანდელი 9 თვის გეგმისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულება. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა, ნაცვლად გეგმური 103,4 პროცენტისა, 104,9 პროცენტი შეადგინა. ზეგეგმით გამოშვებულია 16 285 მანეთის პროდუქცია. სამინისტრომ შეასრულა აგრეთვე საბალანსო მოგების გეგმა და ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სამინისტროს განუსაზღვრა სახელმწიფო ხარისხის ნიშნით პროდუქციის გამოშვება 420 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც საერთო მოცულობაში 27 პროცენტს შეადგენს. წლეულს 9 თვეში სისტემის საწარმოებმა გამოუშვეს 294 მილიონი მანეთის ხუთკუთხანიშნიანი ნაწარმი, ანუ მთელი პროდუქციის 25,2 პროცენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ხარისხის ნიშანი მინიჭებული აქვს 1067 ნაწარმს. 9 თვეში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა 104,6 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად გეგმური 102,7 პროცენტისა.

მომხმარებელს ძალიან მოსწონს სისტემის საწარმოთა მიერ გამოშვებული ნაწარმი. კრეპშიფონი, კრეპდეშინი, კრეპჟორჟეტი, კაცის პერანგი, საფარდე ქსოვილი, ხალიჩები და სხვ.

თბილისის მაუდკამვოლის კომბინატის რეკონსტრუქციის შედეგად აქ შეიქმნა სტაბილური პირობები წმინდა შალის და ნახევრად შალის საკოსტუმე, საკაბე და საპალტოე ქსოვილების მასობრივი წარმოებისათვის. ამ ნაწარმს ძალიან ბევრი მომხმარებელი მოითხოვს.

მაგრამ ყოველივე ზემოდთქმული იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე გადავჭერით რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის ყველა პრობლემა და მუშაობაში აღარა გვაქვს ნაკლოვანებები. ცხადია, პრობლემები და ხარვეზები არის და ამას ჩვენ არც ვმალავთ, პირიქით, ვააშკარავებთ კიდეც, ვსწავლობთ მიზეზებს, ვსახავთ და ვახორციელებთ ღონისძიებებს პრობლემების გადასაჭრელად, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა (რაც მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობისათვის როდია დამახასიათებელი) ის, რომ, მართალია, სახალხო მოხმარების ხაქონლის წარმოება გაფართოვდა, მაგრამ ზოგი სახის საქონელზე ჯერ კიდევ ვერ ვაკმაყოფილებთ სავაჭრო ორგანიზაციების მოთხოვნილებას. ეს, უპირველესად, ეხება ბამბეულის ნაწარმს (ქსოვილები, შეკერილი ტანსაცმელი, წინდები, თეთრეული).

ჩვენ სწორად მიგვაჩნია მომხმარებელთა პრეტენზიები და კრიტიკული შენიშვნები სისტემის ცალკეული საწარმოების მიმართ იმის თაობაზე, რომ მათი გამოშვებული ზოგიერთი ნაწარმი უხარისხოა, ჩამორჩება მოდას და არ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნას. მაღაზიაში მყიდველი ყოველთვის ვერ იძენს სასურველი ფერისა და სტრუქტურის ქსოვილს, შეკერილ ტანსაცმელს.

სამინისტრო ახორციელებდა და მომავალშიც განახორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ მკვეთრად გაუმჯობესდეს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ხარისხი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პროდუქციის ხარისხი, ასორტიმენტი, ქსოვილისა და ტანსაცმლის ფერი, სტრუქტურა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია გადასამუშავებელი ნედლეულის ხარისხისა და გეგმური რაოდენობის ნედლეულით საწარმოთა უზრუნველყოფაზე.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობა ძირითადად საბჭოთა კავშირიდან და უცხოეთიდან შემოსულ ნედლეულზე მუშაობს. უნდა ითქვას, რომ ნედლეულის მოწოდება რიტმულად არ ხდება, საკმაო რაოდენობით არ გვაწვდიან და ხშირად მდარე ხარისხისაცაა.

როცა პროდუქციის ხარისხს ვეხებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი მარკირებისა და შეფუთვის საკითხი. ამ მხრივ სისტემაში სახარბიელო მდგომარეობა არა გვაქვს. წლების განმავლობაში არ სრულდება ჩვენი განაცხადები შესაფუთავ მასალაზე.

საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობამ XI ხუთწლედისათვის რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ზრდა 128 პროცენტით განსაზღვრა, რაც 10 პუნქტით აღემატება საკავშირო მსუბუქი მრეწველობის ზრდის მაჩვენებელს.

მიმდინარე ხუთწლედში, მეათე ხუთწლედის დონესთან შედარებით, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემის საწარმოები 1,1-1,5-ჯერ მეტ სხვადასხვა სახეობის ნაწარმს გამოუშვებენ. ხუთი წლის მანძილზე გამოვა

პირველი მოხმარების საქონელი: ბამბეულის მზა ქსოვილი — 361,3 მილიონი გრძივი მეტრი, თეთრეული — 27,5 მილიონი მანეთისა, ბამბეულის ქსოვილისაგან დამზადებული თეთრეული ბაგის ასაკის ბავშვებისათვის — 8,44 მილიონი მანეთისა, წინდა — 161 მილიონი წყვილი, ბავშვის კოლგოტკები — 6,7 მილიონი წყვილი, ტრიკოტაჟის თეთრეული — 191 მილიონი ცალი (მათ შორის ბამბეულის ნართისა — 115,5 მილიონი ცალი, აქედან ბავშვებისათვის — 68,6 მილიონი წყვილი).

გამოვა აგრეთვე შალის მზა ქსოვილი — 59,7 მილიონი კვ. მეტრი, აბრეშუმის მზა ქსოვილი — 269.5 მილიონი კვ. მეტრი, 359 მილიონი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი, 17,4 მილიონი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 6,3 მილიონი კვ. მეტრი ხალიჩები და ხალიჩის ნაწარმი, 270,3 მილიონი მანეთის საფეიქრო-საგალანტერიო ნაწარმი.

აღნიშნული ღონისძიებები ითვალისწინებს აგრეთვე ასორტიმენტის მნიშვნელოვან განახლებას. სისტემის საწარმოები ყოველწლიურად 200-ზე მეტი დასახელების სახალხო მოხმარების საქონელს აწვდიან მოსახლეობას. აქედან, განახლდება 55 პროცენტამდე სხვადასხვა ნაწარმი.

დიდი მოთხოვნილებაა ნატურალური აბრეშუმის შემსუბუქებულ ქსოვილზე „ნინოზე", რომელიც შემუშავებულია თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, ტრიკოტაჟის გაერთიანება „ბახტრიონში" ვილვეტისმაგვარი ტრიკოტაჟული ტილოსაგან დამზადებულ საბანაო კოსტუმებზე სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის მიერ გამო-

შვებულ ბავშვის კაბებზე (მხატვრულად კარგად გადაწყვეტილი წებოვანი აპლიკაციით) და ა. შ.

მიმდინარე ხუთწლედში მსუბუქი მრეწველობის საწარმოები აითვისებენ და მასობრივად გამოუშვებენ შემდეგი სახის ახალ პროდუქციას: გორის ბამბეულის გაერთიანება — ხუთი სახეობის ბამბის საკაბე ქსოვილს მაღალი ნომრის ნართისას, (მათ შორის მარლის ტიპისას). ქუთაისის ბამბის საქსოვი გაერთიანება — სამი ახალი სტრუქტურის საფარდე ქსოვილსა და შელებილი ნართის პირსახოცებს, თბილისის აბრეშუმის გაერთიანება — კრეპის ნართისაგან დამზადებულ — „იაპონკის" ტიპის ქსოვილებს, ქუთაისის აბრეშუმის გაერთიანება — „კრეპსატინსა" და „ფაიდეშინს", თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი — საპალტოე ქსოვილებს, მაღალი ნომრის კამვოლური და ფასონური შალის ნართისაგან დამზადებულს. თბილისის საწარმოო გაერთიანება — ბავშვისა და კაცის წინდებს, ნახევრად შალისა და ფერადი ელასტიკის ნართისას, რესპუბლიკური სამკერვალო გაერთიანება — ქალისა და კაცის ნახევარპალტოებს ხელოვნური ბეწვისას, კაცის შარვლებს მკვრივი ჯინსის ქსოვილისას, კაცის კურტკებს თბილსარჩულიანს, ნარევი ქსოვილისაგან დამზადებულს...

ფეხსაცმლის ფაბრიკები სულ ხუთწლედში 1500 ახალი მოდელის ფეხსაცმელს გამოუშვებენ, მათ შორის 450-ს ბავშვისათვის.

დიდი ალმშენებლობითი სამუშაოებია გათვალისწინებული ამ ხუთწლედში. ცხინვალის ტრიკოტაჟის თეთრეულის ახლად აშენებული ფაბრიკა ყოველწლიურად გამოუშვებს 9,1 მილიონ ცალ ნაწარმს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის შემდეგ ამ სახეობის საქონელი აღარ იქნება დეფიციტური.

საჩხერეში დაიწყო მშენებლობა და 1983 წელს ამოქმედდება ბამბის სართავი ფაბრიკა. ტყვარჩელში აშენდება ჰიგროსკოპიული ბამბის ფაბრიკა, წელიწადში 5000 ტონა ჰიგროსკოპიული სიმძლავრისა; გათვალისწინებულია თბილისში უქსოვადი მასალების ფაბრიკის და ფოთში ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკის აშენება.

დამთავრდება თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ახალი კორპუსის მშენებლობა, რომელიც ამოქმედების შემდეგ წელიწადში 30 მილიონ მეტრ აბრეშუმის ქსოვილს მოგვცემს.

ხუთწლედში გათვალისწინებულია, აგრეთვე, სხვა საწარმოთა მშენებლობა, ფილიალების ქსელის გაფართოება, მოქმედი საწარმოების ხელახალი ტექნიკური შეიარაღება.

ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოს სისტემაში არ იქნება არცერთი კუსტარული და ნახევრადკუსტარული საწარმო, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობა მთლიანად გადავა თანამედროვე ინდუსტრიულ რელსებზე.

პატარებისთვის

# ნარინჯა და თურინჯა

თოჯინა შავთვალა, შავთვალა ლელასი იყო, თოჯინა ლურჯთვალა — ლურჯთვალა მზექალასი. ორივე როგორი ლამაზები იყვნენ. თვალს ვერ მოაშორებდით, მაგრამ რა, სულ მალე თმებდაგლეჯილი თოჯინა შავთვალა და ხელმოწყვეტილი ლურჯთვალა საცოდავად ეყარნენ იატაკზე.

ერთ დღეს გულნატკენი თოჯინები ადგნენ და უხეშ პატრონებს გაეცალნენ. იარეს, იარეს და ერთ მიყრუებულ ადგილას ხმელ ხეს მიადგნენ. ხეში ფუღუროს შენიშნეს, მაშინვე შიგ ჩასხდნენ, ერთმანეთს მიეყუჟნენ და დაღლილებს უმალ ჩაეძინათ. როცა გამოეღვიძათ, მაშინვე იმაზე დაიწყეს ფიქრი, როგორ მოერჩინათ თავი. გადაწყვიტეს, საჩქაროდ მოენახათ კეთილი დეიდა, რომელსაც კარგად ეცოდინებოდა თოჯინების მკურნალობა.

და აი, ვარდისფერ კაბებში გამოწყობილებმა, გაჯანმრთელებულებმა და გალამაზებულებმა ახლა იმაზე დაიწყეს ფიქრი, თუ სად და როგორ აეშენებინათ სახლი, რომ ერთ ბედში მყოფ მეგობრებს ახლა მაინც ეცხოვრათ რიგიანად. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს ,სახლი აქვე აეგოთ. ადგნენ და შეაგროვეს გადაყრილი სათამაშოები: გატეხილი კუბურები, ნავები, ციყვები, თუთიყუშები, თევზები, კურდღლები, მანქანები... სათამაშოებით კედლები ამოაშენეს, სახურავად შარშანდელი ნაძვისხის მოსართავები გამოიყენეს, გვერდჩამტვრეული თუ წვერმოტეხილი ბურთულები, ვაშლები, მსხლები, ლიმონები, კიტრები, პამიდვრები... იატაკად მუხის რკო დააგეს, ნაძვის კენწეროს მოსართავი წვეროკინები აივანს ბოძებად შეუყენეს, ფარდებად ვერცხლისფერი ბრჭყვიალა, აი, წვიმას რომ ეძახიან, ის ჩამოაფარეს და სახლიც მზად იყო. რაღა ზურმუხტ-ლალისა და ალმას-იაგუნდის სახლი, ძველ ზღაპრებში რომ არის ხოლმე ნახსენები, და რაღა ეს ფერადი სათამაშოებითა და ნაძვის პრიალა სამკაულებით აშენებული, აელვარებული და გაბრწყინებული სახლი!

როცა თოჯინებმა ყველაფერი მოაწესრიგეს და კარგადაც დაისვენეს, ვარდისფერი კაბების ფრიალ-ფრიალით მახლობელ ბაღში გაისეირნეს, დაკრიფეს ყვავილები და თაიგულს ერთი ღერი დუდგუბოც მიუმატეს, რომელსაც ორი ბუშტულა ყვავილი ება. სახლში რომ დაბრუნდნენ, თაიგული საყვავილეში ჩადვეს და ფანჯრის რაფაზე შემოდგეს. უცებ თოჯინებს ტკბილხმიანი ჩურჩული შემოესმათ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ, ჭრელი ხალათები გადაიცვეს, სამზარეულოში გავიდნენ და ვახშმის თადარიგს შეუდგნენ. ვახშმის დროს ისევ გაიგონეს ჩურჩული. სმენა დაძაბეს და მიხვდნენ, რომ ეს ხმები დუდგუბოს ყვავილებიდან მოისმოდა. გადახსნა შავთვალამ ბუშტულა დუდგუბო, ლურჯთვალამ — მეორე გადაშალა. ჰოი, საოცრებავ. ყვავილების გულიდან ნარინჯისფერ კაბებში გამოწყობილმა თხილისოდენა მეტად ლამაზმა და ერთმანეთის მსგავსმა გოგონებმა შემოსცინეს. როგორც კი დუდგუბო გოგონები ფანჯრის რაფაზე გადმოვიდნენ, უმალ თოჯინების სიმაღლენი გახდნენ და ნელი ხმითა თქვეს:

— მე ნარინჯა მქვია.

— მე თურინჯას მეძახიან.

გახარებულმა მასპინძლებმა სტუმრები ვახშამზე მიიპატიჟეს, მხიარული მასლაათი გააბეს, იმღერეს, იცეკვეს, ლექსებიც თქვეს, შემდეგ ჩაწვნენ ლოგინში და მშვიდად ჩაიძინეს. იმ დღიდან ნარინჯა და თურინჯა სამუდამოდ დარჩნენ მასპინძლებთან.

ასე დაიწყეს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება აბუჩად აგდებულმა თოჯინებმა. უხეში ლელა და მზექალა კი დარჩნენ უთოჯინებოდ, თვალცრემლიანები.

ევა ჩაკალიძე

## საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის მებრძოლი

# უდრეკი რევოლუციონერი

ელიზავეტა პეტრეს ასული გოგელიშვილი ქართველ რევოლუციონერ ქალთა პლეადას ეკუთვნის. სამწუხაროდ, მისი ღვაწლი და ამაგი დღემდე ჯეროვნად არ არის შესწავლილი და დაფასებული.

ე. გოგელიშვილი დაიბადა 1882 წელს, თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. წამოიზარდა თუ არა, მშობლებმა ჭრა-კერვის სკოლაში მიაბარეს. ქალიშვილი სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა, მაგრამ ოჯახური სიდუხჭირის გამო, თავისი სურვილის წინააღმდეგ, ჩინოვნიკ ვანო თეიმურაზის ძე კაპანაძეზე გაათხოვეს.

1902 წელს მათ ქალიშვილი შეეძინათ, რომელსაც ანა დაარქვეს.

ელიზავეტა იშვიათი სილამაზის ქალი გახლდათ — გარეგნულად მომხიბვლელი, გონებაგამჭრიახობით, ხასიათის სიმტკიცითა და სიმამაცითაც იქცევდა ყურადღებას. განსაკუთრებულ ზიზღს იჩენდა მჩაგვრელების მიმართ. ყოველთვის მუშებს ესარჩლებოდა და მათთან ერთად მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში. ჩინოვნიკ მეუღლეს არ მოსწონდა ცოლის რევოლუციონერობა. სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა ცოლ-ქმარს შორის უკმაყოფილება, რაც საბოლოოდ მათი გაყრით დამთავრდა. ამის შემდეგ ელიზავეტას რევოლუციურ საქმიანობას ფართო გასაქანი მიეცა.

ელიზავეტა კაპანაძის მშობლების — პეტრე და სოფიო გოგელიშვილების ბინა გუდაუთის ქუჩა № 2-ში მდებარეობდა. ქმართან გაყრის შემდეგ ელიზავეტა თავისი პატარა შვილით — ანიჩკათი საცხოვრებლად მშობლებთან გადავიდა. აღნიშნული ბინა იმ დღიდან რევოლუციონერების არალეგარული შეკრების, აკრძალული ლიტერატურის შენახვისა და ბოლშევიკების სათათბირო ადგილად იქცა, სახლის სარდაფი კი ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და ბომბების დასამზადებელ ლაბორატორიად.

ცელქი და მოუსვენარი, მაგრამ ამავე დროს დაკვირვებული და ჭკვიანი გოგონა ანიჩკა ძალიან უყვარდათ რევოლუციონერებს. მას ხშირად სერიოზულ დავალებებსაც კი აძლევდნენ, ერთ დღეს მუშები შინ ესტუმრნენ ელიზავეტას. არალეგარული კრება უნდა გაემართათ. სიფრთხილე იყო საჭირო, მოულოდნელად მეფის პოლიცია რომ არ დასხმოდათ თავს. სხვა რომ ვერავინ ნახა, ეს საქმე დედამ პატარა ანიჩკას დაავალა.

ელიზავეტა ჭრა-კერვის საქმეს ოსტატურად უკავშირებდა რევოლუციურ საქმიანობას, ხშირად მიდიოდა თბილისის რკინიგზის დეპოში, სადაც ეცნობოდა მოწინავე მუშებს, ბოლშევიკებს. მალე იგი ვაგზლის რევოლუციური ორგანიზაციის აქტიური წევრი გახდა. ეს ის პერიოდია, როცა აქ ცნობილ პროფესიონალ რევოლუციონერთა ჯგუფი მოქმედებდა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: გ. მგალობლიშვილი (ბოლქვაძე), ი. მგელაძე, ი. იმერლიშვილი, ტ. ჯაში, ზ. გელოვანი, ი. გოგიბერიძე, დ. დგებუაძე, ვ. მამულაშვილი და სხვები. მათი უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით მამაცი და უდრეკი რევოლუციონერი ელიზავეტა კაპანაძე 1905-1907 წლებში და შემდეგ პერიოდშიც ორგანიზაციის ყველა დავალებას ერთგულად და გაბედულად ასრულებდა. განსაკუთრებულ სიმამაცესა და შეუპოვრობას იგი არალეგარული ლიტერატურისა და ლოზუნგების მუშათა და ახალგაზრდათა წრეებში გავრცელების დროს იჩენდა. პოლიციის ცხვირწინ ქუჩებში აკრავდა და აბნევდა პროკლამაციებს. მას ხშირად გზავნიდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოფლებსა და დაბებში რევოლუციური საქმიანობისათვის, სადაც კონსპირაციის მიზნით მკერავად ასაღებდა თავს, მოსწავლეები აჰყავდა და ჭრა-კერვას ასწავლიდა.

მეფის ოხრანკას ელიზავეტა კაპანაძის რევოლუციური საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენია და დიდი ხნის ძიების შემდეგ ბოლშევიკთა არალეგალურ ბინას მიაკვლიეს. 1908 წლის 11 ივლისს გაჩხრიკეს და ააწიოკეს ელიზავეტა კაპანაძისა და მისი მშობლების ოჯახი. ჯარისკაცებმა ხიშტებით დაჩხვლიტეს ლეიბები და ბალიშები, აქ საეჭვო არაფერი იყოსო: ტომრები არალეგალური მარქსისტული ლიტერატურითა და პროკლამაციებით გაავსეს, სარდაფიდან ბომბები ამოიღეს. საგუბერნიო ციხის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის ბრძანებით გერმანე მგალობლიშვილი და ელიზავეტა კაპანაძე დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. და იწყო რევოლუციონერთა ტანჯვა-წვალებისა და აბუჩად აგდების საშინელი დღეები. პატიმრების ნახვისა და მათთვის საჭმლის მიტანის ნებას დიდხანს არავის აძლევდნენ. აქაც, ციხის მძიმე პირობებში, ელიზავეტას გამამხნევებელი და იმედისმიმცემი გერმანე მგალობლიშვილი იყო, რომელსაც პატიმრებისა და ზოგიერთი ზედამხედველის საშუალებით ციხეშიც არ გაუწყვეტია კავშირი პოლიტიკურ პატიმრებთან.

ანიჩკა ექვსი წლისა იყო, როცა დედამისი ელიზავეტა დააპატიმრეს. პატარა გოგონა შინ მოხუცი ბაბუა პეტრეს და ბებია სოფოს იმედზე დარჩა. მშობლებს ციხეში შვილის სანახავად არ უშვებდნენ და ისინი ანიჩკას საშუალებით ამყარებდნენ კავშირს ელიზავეტასთან. მართალია, ბავშვს ჯერ კიდევ არ ესმოდა თავისი მოქმედების მნიშვნელობა, მაგრამ რევოლუციონერთა რჩევა-დარიგებას და დავალებებს პირნათლად და უშიშრად ასრულებდა და ესეც ბევრს ნიშნავდა, ამით იგი პატარა რევოლუციონერად გვევლინება. პროპაგანდისტულ, მეფის მოხელეთა საწინააღმდეგო მინიატურულ წერილებს ღილებში დებდნენ, რომლებსაც შემდეგ ბავშვის პალტოზე ამაგრებდნენ. ეს წინასწარ იცოდა ელიზავეტამ. და როცა ანიჩკა ციხეში მის სანახავად მივიდოდა, ღილებს ფრთხილად აცლიდა, წერილებს კითხულობდა და პატიმრებში თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა. ასე გრძელდებოდა დიდხანს.

1908 წელს მეფის სასამართლომ ელიზავეტა კაპანაძეს, აქტიური რევოლუციური საქმიანობისათვის, აკრძალული ლიტერატურისა და პროკლამაციების გავრცელებისათვის, ფეთქებადი ნივთიერებების დასამზადებელი ლაბორატორიის შექმნისა და ბომბების დამზადებისათვის შორეულ ციმბირში ხანგრძლივი გადასახლება მიუსაჯა.

პატიმრობის ვადის მოხდისა და გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ელიზავეტა კვლავ განაგრძობდა არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობას. იგი მუშებთან დასაახლოებლად და რევოლუციური საქმიანობის გასააქტიურებლად თბილისის რკინიგზის დეპოში იწყებს მუშაობას პურის წერტის გამგედ, სადაც მუშებს შორის ავრცელებს არალეგალურ ლიტერატურას, საზოგადოებრივ ადგილებში აბნევს პროკლამაციებს, ეწევა მეფის წყობილების საწინააღმდეგო პროპაგანდას. დრო გადიოდა, რევოლუციის საქმე წინ მიიწევდა. ახლოვდებოდა მეფის ხელისუფლების დამხობისა და საბჭოთა წყობილების გამარჯვების დღე. ელიზავეტა კაპანაძეს გული სიხარულით ევსებოდა, თავისი მიზნების განხორციელების მოახლოებას რომ ხედავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დუხჭირი ცხოვრებით, ციხეებითა და კატორღული სამუშაოებით ჯანგატეხილი უდრეკი რევოლუციონერი 1916 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა.

**ს. რეხვიაშვილი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ფალავა

# გარდამავალი ასაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის სიცოცხლის ასაკობრივ პერიოდებად დაყოფა ოდითგანვე იპყრობდა ფილოსოფოსთა, პედაგოგთა და მედიკოსთა ყურადღებას. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან ასაკი გარკვეულ გავლენას ახდენს ადამიანზე, როგორც ფსიქო-სოციალური, ისე სამედიცინო ბიოლოგიური თვალსაზრისით; სიცოცხლის მომდევნო მონაკვეთებში იცვლება ფსიქიკა, მსოფლმხედველობა, როლი საზოგადოებაში, ფიზიოლოგიური პროცესები, ამა თუ იმ დაავადებისადმი მიდრეკილება და, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, პროფილაქტიკურ-თერაპიული ტაქტიკა.

დიდი კულტურის მქონე თითქმის ყველა ხალხს ჰქონდა ბავშვის ასაკობრივად დაყოფის ცდები; როგორც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებიდან ჩანს (იხ. ,,სიტყვის კონა"), საქართველოში არჩევდნენ ბავშვობის შემდეგ პერიოდებს: ჩვილი — 5 წლამდე; უსუარი — 5-იდან — 10 წლამდე; ნინველი — 10-დან — 15 წლამდე, ყრმა — 15 წლიდან. ჩვენამდე მოღწეული საექიმო ძეგლებში შესანიშნავად არის განხილული ბავშვთა აღზრდისა და მკურნალობის საკითხები ასაკობრივ ასპექტში: ,,ოუ ჩვილი ადრე მოსწყვიტონ ძუძუსაგან მჭლე და ჭაბუკობის ჟამსაც... უსუსურად დარჩების". არა ნაკლებ საყურადღებოა, რომ ,,ყრმაი სისხლისა ბუნებისაა და ძმანი განუქარვებენ ნალულისა ბუნებასა". ჩვენს წინაპართა ეს ემპირიული დასკვნები სავსებით დასტურდება თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევებით.

სადღეისოდ, კულტურულად წინ წასულ ქვეყნებში, განსაკუთრებით ჩვენს სამშობლოში, სადაც დიდი ყურადღება ექცევა ერის მომავალს და ოჯახის კეთილდღეობას, გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მეცნიერების იმ დარგებმა, რომლის მიზანია ახალშობილის (ნეონატოლოგია), ბავშვების (პედიატრია) და ხანდაზმულების (გერონტოლოგია) ჯანმრთელობის ოპტიმიზაცია. უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებს გარდამავალი ასაკი ე. ი. ის პერიოდი, როდესაც თანდათანობით მთავრდება ბავშვობა და საფუძველი ეყრება ახალგაზრდობას — ადამიანის სიცოცხლის და ცხოვრების ზენიტს ბიოლოგიური გამძლეობის და რაციონალური შრომისუნარიანობის თვალსაზრისით.



სადღეისოდ, გარდამავალი ასაკის თავისებურება ისწავლება ერთის მხრივ პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიურ და, მეორეს მხრივ, მედიკო-ბიოლოგიურ ასპექტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დიფერენციაცია პირობითია; ადამიანი ბიო-სოციალური არსებაა და თუ ,,ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია", უკანასკნელიც არეგულირებს გარემოსადმი შესაბამის ბიოლოგიურ პროცესებს.

გარდამავალი ასაკი ცნობილია აგრეთვე სხვა სახელწოდებებით: მოზარდის სქესობრივი მომწიფების ანუ პუბერტატული პერიოდი და სხვა. უკანასკნელ ხანებში შეინიშნება სქესობრივი მომწიფების შედარებით ადრე — 11-13 წლიდან დაწყება (აქცელერაცია) და 14-15 წლისათვის დამთავრება, საერთოდ, კი ამ პერიოდის დასაწყისი და ხანგრძლივობა ინდივიდუალურია; ცნობილია, რომ გოგონებში იგი უფრო ადრე იწყება და მთავრდება. გარკვეული მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობას, კლიმატს, კვებას. აღზრდის დეფექტები — პორნოგრაფიული სურათები, ლიტერატურა, მშობელთა გაუფრთხილებელი ურთიერთდამოკიდებულება და სხვა ხელს უწყობს სქესობრივი ემოციების ნაადრევ აღმოცენებას, მაშინ, როდესაც მისი ბიოლოგიური საფუძვლები ჯერ კიდევ განუვითარებელია. არსებობს დაკვირვებები, რომ სქესობრივი ინსტინქტის ეს ფსიქო-ბიოლოგიური შეუფარდებლობა უარყოფით კვალს ტოვებს თვით მოზრდილობის ასაკშიც, განსაკუთრებით მამაკაცებში და ერთგვარ საფრთხეს უქმნის მეუღლეობის ჰარმონიას.

უკანასკნელ წლებში, -ფრანგი მეცნიერების გამოკვლევებით, ,,ადამიანთა სიცოცხლის ეს კრიზისული პერიოდი — სქესო-

ბრივი მომწიფება, ნაკლებ კრიზისულია, როდესაც ასაკობრივი განსხვავება და-ძმებს შორის 2-3 წელია. დედისერთა ბავშვი, განსაკუთრებით ბიჭი — ყოველთვის საფრთხეშია ნაადრევი ან დაგვიანებული და, ამასთან, დისჰარმონიული სქესობრივი მომწიფების თვალსაზრისით, ხოლო მშობელთა რწმენა, მათი ერთადერთი შვილის თითქმის გენიალობის შესახებ, მათი სუბიექტური აღქმის ნაყოფია" — წერენ ისინი.

სქესობრივი მომწიფების პერიოდში საფუძველი ეყრება ადამიანის, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებას; ამავე დროს ყურადღებას იპყრობს ზედმეტი ემოციურობა, ექსპანსიურობა და თავშეუკავებლობა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს პათოლოგიად, თუმცა ეს თავისებური ფსიქოლოგიური კომპლექსი მოითხოვს ინდივიდუალურ პედაგოგიურ მიდგომას.

მნიშვნელოვანი ძვრები აღინიშნება ენდოკრინული სისტემის მხრივ. ერთ-ერთი ცნობილი პედიატრის ხატოვანი გამოთქმით — „სასქესო ჯირკვლების ჰორმონს მიჰყავს


ელექტრონული ბიბლიოთეკა



ძირითადი მელოდია ენდოკრინულ კონცერტში", ვითარდება პირველადი და მეორადი სასქესო ნიშნები, ქალებისა და ვაჟებისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური მიმართება. უკანასკნელ ხანებში მიუთითებენ ვაჟების ერთგვარ ფემინიზაციაზე (ქცევისა და იერის ქალური იერი) და გოგონების მასკულინიზაციაზე (მამაკაცური ელემენტები). უნდა გვახსოვდეს, რომ ქალის და კაცის სოციალური ემანსიპაცია არ ნიშნავს მათს ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თვისებათა გათანაბრებას. ამასთან დაკავშირებით, არის მითითებანი, რომ უკვე სკოლის უმცროს ასაკში სწარმოებდეს თამაშობის და პედაგოგიური მიდგომის დიფერენციაცია სქესობრივ ასპექტში. რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავს ქმედების ისეთ სახეობებს, რომლებშიც თანაბრად აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ გოგონებიც და ბიჭებიც.

სამწუხაროდ, შეინიშნება ანტისოციალური გამოვლინებანი, ნარკომანია, რომლის საფუძველს წარმოადგენს არა მოზარდის ფსიქოლოგიური დეფექტი, არამედ თვალყურის დეფიციტი და არაობიექტური მიდგომა.

გარდამავალ ასაკში ყურადღებას იპყრობს, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში ისეთი დაავადებათა გახშირება, როგორიცაა სიმსუქნე, წყლულოვანი დაავადება, არტერიული ჰიპერტონიის გამოვლინებანი, ალერგია, განსაკუთრებით ასტმა. საღლეისოდ, ეს დაავადებანი განიხილებიან, როგორც ფსიქოსომატური პათოლოგია, ე. ი. მათ წარმოქმნაში და მიმდინარეობაში წამყვან როლს სისტემური ფსიქიური ტრავმები თამაშობენ; მშობლიური ზრუნვის დეფიციტი, ცოდნის არაობიექტური შეფასება და სხვა. უარყოფითი პედაგოგიური ზეგავლენანი ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანნი არიან.

ჩვენი ხელმძღვანელობით მიმდინარე ფსიქოლოგიური დაკვირვებებით, რომლებიც ემყარება დიდი ქართველი მეცნიერის დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიურ თეორიას, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ე. წ. სტატიკური განწყობის ბავშვები, განსაკუთრებით ბავშვები სქესობრივი მომწიფების პერიოდში.

ვფიქრობთ, რომ დადგა დრო, რათა გარდამავალი პერიოდის თავისებურებანი ისწავლებოდეს ინტეგრალურ კომპლექსში (პედიატრია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, და სხვა.), რათა დროულად გამოვლინდეს ფსიქობიოლოგიურ-სექსუალური პათოლოგიის საწყისი ვარიანტები. ამ მდგომარეობათა დროული და სათანადო მკურნალობით გამოსწორება უდაოდ გარკვეულ როლს შეასრულებს, რათა შეიქმნას სრულფასოვანი, მტკიცე და შვილმრავალი ოჯახი — ადამიანთა ბედნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი.

პრობლემები, სიძნელეები

# მთავარია გზა!



ნანა გოგეჯიშვილი

მიდიოდნენ რაჭველები მშობლიური მიწებიდან, ცარიელდებოდა სოფლები. ზოგი ულელტეხილით გადადიოდა კავკასიონზე და კისლოვოდსკში, ორჯონიკიძეში, ნალჩიკში სახლდებოდა, ზოგი ბარად, ქუთაისსა და თბილისში არჩევდა ცხოვრებას.

დაიცალა სოფლები, ბუნების უიშვიათესი ნიჭით შემკული — წყაროიანი, ტყეებიანი. ასეა დღესაც ონის რაიონში, მაშინდელი დარჩენილები დღეს სოფელს ტოვებენ, მიდიან...

რომ გიჭირდეს და კაცს უხმობდე, ვერავინ მოგეშველება, ბევრგან ხუთი-ათი კომლიღა თუა დარჩენილი. რომ გილხინდეს და გინდოდეს, ერთად მოუყარო თავი შენს მეზობელ-მოყვრებს, ვერ მოახერხებ, ყველა აბარგებულა და კარი გამოუკეტავს. ველარ უძლებს მარტო დარჩენილი სახლები დიდთოვლობას, წელში ილუნება რაჭული ოდები, ინგრევა და თოვლის ქვეშ წვება.

— ვერ უშველი, ცა და დედამიწა რომ შეძრა, იმდენად საშიშია კაცის გული, თუ გასაქცევად გაიწია, ფეხქვეშაც რომ დაუწვე, გადაგაბიჯებს და წავა!

იულია ჩიხრაძემ გულის დარდი ამოატანა ოხვრას და ხელი ნიკაპქვეშ ამოიდო.
— ასოცი გლეხი ცხოვრობდა გომში ჩემს მახსოვრობაში და ათნიღა დავრჩით. ახალი წელი რომ მოდის, ღორის დამკვლელს ვერ იშოვი, თოფს არავინ ისვრის ჭერში, კერას არავინ გილოცავს.

საზაფხულო იალაღზე იულიასთან ერთად ვერა ჩიხრაძეც ამოსულიყო. კოხტად, სუფთად მოეწყოთ საცხოვრებელი ოთახი, სარეცხი დაერეცხათ და გაეშროთ. სალამოვდებოდა. ცხელი ხაჭაპურები გადმოდგეს მწველავებმა, წყაროს წყალი ჩამოარიგეს. ძროხებს ელოდნენ მოსაწველად.

— ოცდაცხრა ძროხა ჩემია, — თქვა იულიამ, — ოცი ვერასი და ოცდაოთხი — მარუსა გავაშელისა. სულ ეს არის უწერის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის გომის განყოფილების საქონელი. უწერის მეურნეობაში ღების, ჭიორის, გლოლის, ღარის და ნაკიეთის ფერმებიც შედის.

აი, გამოჩნდა გზად მომავალი ძროხები. მათ ახალგაზრდა მწყემსი მოჰყვება, კი არ მოჰყვება, მოსდევს. ხან თავში დაუვლის, ხან ბოლოში, რომ შორს არ წახეტიალდნენ, — ტყიდან აქამდე ხუთი კილომეტრი მაინც არის, ეტყობა, ყმაწვილს ჩქარა უვლია, შუბლზე ოფლი გადასდის, გვესალმება და სადგომში შედის.

— ჩემი ვაჟია, — ამბობს ვერა, — სამხედრო სამსახური მოიხადა და მეურნეობის საქონელს მწყემსავს. ვეტექიმობა აქვს ამორჩეებული, უმაღლესისთვის ემზადება. გოგოც აქ მუშაობდა, ფერმაში. ქმარმა ადრე მიგვატოვა, წავიდა საშოვარზე და აღარ დაბრუნებულა, მარტონი დავრჩით მთიან სოფელში.

გოგონა მწველავი გახდა, სოცშეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ტურისტული საგზურით დააჯილდოვეს. გორში საბუღალტრო კურსები დაამთავრა და იქვე გათხოვდა. ახლა ჩვენ ორნი ვართ, მე და ბიჭი. სახლი გვენგრევა, სამოსახლო არ ვარგა და იმიტომ. მეურნეობას ვთხოვ, ვენახში აუთვისებელ ადგილს და არ მაძლევენ. არადა, თითქმის დაიცალა სოფელი. მე არსად წამსვლელი არა ვარ, ცოტა რიგიანი სამოსახლო რომ მქონდეს. უგზოობით შეწუხებული ვართ, ავტობუსი არ დადის ონიდან. ჯიჭვისამდე რომ მოგვიყვანს ავტობუსი, მერე სამ კილომეტრს ფეხით ავდივართ აღმართში. თუ უამინდობაა, ასვლა ჭირს. მაღაზია არა გვაქვს სოფელში, არავინ დგება გამყიდველად. პურისა და შაქრისათვის შორს გვიხდება წასვლა. მტერი და ავი, ავად რომ გავხდეთ, კერძო მანქანა ათ მანეთზე ნაკლებ არ წაგვიყვანს ონამდე. თბილისიდან ონამდე ამოსვლა უფრო ნაკლები ჯდება, ვიდრე ჩვენგან ონში ჩასვლა. ამ უგზოობას გაექცა ხალხი. ჩვენი სო-



დალი ჯინჭარაძე

ფელი ვაკეზეა გაშლილი. ხილიც გვაქვს, ვენახიც, საქონელიც გვყავს. ცხოვრება შეიძლება და ხალხიც დატრიალდება, რომ მეტი ყურადღება მოგვაქციონ. გომიდან ზოგიერთები თბილისთან ახლოს, გამარჯვებაში დასახლდნენ. აბა, აქაურობას იმ ადგილზე როგორ გავცვლი, არც შევადარებ! გომი უნდა დარჩეს სოფლად, მისი ხალხი უნდა დაბრუნდეს, მისი მიტოვება არ შეიძლება! მეც არ მივატოვებ, ოღონდ შესაფერ ადგილზე მიმიჩინონ სამოსახლო. ბიჭი დაოჯახდება, გამრავლდება,

სხვა ოჯახებიც დაბრუნდებიან, კვლავ გაიხსნება სკოლა, დაიზრდებიან ბავშვები, მეურნეობაში იმუშავებენ, მოგვიმრავლდება ძროხა-საქონელი, ბაღ-ვენახი...

სანამ ვერა თავისას ყვებოდა, ივლისის მოესწრო ძროხების მოწველა, ახალგაზრდა ლაბორანტი ირინე მაისურაძე კმაყოფილი იყო რძის ცხიმიანობით, ნოყიერი საძოვრისგან გალაღებულიყო საქონელი.

გომის განყოფილების მაღალმთიან საზაფხულო საძოვარზე ბინდი ჩამოწვა. მანქანა მთის გულზე გაყვანილ სამანქანო გზით დაბლა ეშვება. გზა ისე ვიწროა, რომ შემხვედრი მანქანა გვერდს ვერ აუქცევს. ზოგან საშიში გადასახედია. წინ კავკასიონიდან მოვარდნილი მდინარეები გვხვდება, სადაც ხიდი არ არის. მანქანა აქაფებულ ტალღებში გადის. დაბლა, ხეობებში ტანწვრილი ნაძვები გაჭიმულან, ღაღანებს ალპური ყვავილები.

რაჭველები არ უნდა ტოვებდნენ რაჭას, — ვფიქრობ და ვიხსენებ, ონის სამკერვალო ფაბრიკის ახმაურებულ საამქროებს. აქ, ქუთაისის „გელათის" ფილიალში სამასამდე ქალი მუშაობს, ბავშვის პერანგებს კერავენ, რუდუნებით და გულდაგულ.

— მუშახელი გვაკლია, — ასი ქალი კიდევ გვჭირდება, — ამბობს პარტორგანიზაციის მდივანი მარინე ბერუჩევი.

ხელს ისევ უგზოობა გვიშლის, თორემ მახლობელი სოფლებიდან ასი ქალი როგორ ვერ წამოვიდოდა სამუშაოდ!

ონის სამკერვალო ფაბრიკაში წელიწადში ხუთი ათას ხუთას ცალ პერანგს კერავენ. აქ მუშაობის ახალი მეთოდები დაინერგა — ზოგი ქალი შინ მუშაობს და თითოეული ას ოცდაათ მანეთს იღებს, ზოგი მხოლოდ ოთხი საათია საწარმოში და ოთხმოცი მანეთი ეძლევა. გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს დალი ჯინჭარაძე, ნაირა ბენდიაშვილი, თამილა არჩვაძე, თინა ჯაფარიძე, ლენა გუგეშაშვილი. ბევრი რამ გაკეთდა მუშების სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, რეკონსტრუქციის შემდეგ საამქროებში კონდიციონერები დაიდგა, მუშაობს გამწოვი ვენტილაცია, საშხაპე, სასადილო, საექიმო პუნქტი. სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულები ფულად ჯილდოს იღებენ.

რა კარგია მოსახლეობის დასამაგრებლად ახალი საწარმოების ამოქმედება!

პარტიის ონის რაიკომის პირველი მდივნისგან, კოკი ბაქრაძისგან შევიტყვე, რომ მიგრაციის წინააღმდეგ ბევრი ღონისძიება ხორციელდება: სოფლებში იხსნება ქვისდამამუშავებელი, ხისნაკეთობათა, ხელსაქმის და სხვა საამქროები.

ეგების ეშველოს მთის რაჭას! — ვფიქრობ, მაგრამ ვინ ჩამოვა ათკაციან ბარში, გომში, სევაში, ფარახეთში, სადაც სკოლებიც კი დაიხურა, — სანამ არ იქნება ონიდან მისასვლელი გზა.

რაჭისათვის გზა არის მთავარი და ყველაზე აუცილებელი!

**ლია კაკაბაძე**

# მეგობრობა გზად და ხიდად



„არასოდეს დამავიწყდება საბჭოთა კავშირში გატარებული დღეები" — წერს თანამედროვე ინდოელი პოეტი ქალი დურგავატ სინგჰი (დაიბადა 1931 წ.) თავის წიგნში („ცინცხალი მოგონებები"), რომელიც მიუძღვნა ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ერთი წლის შემდეგ, რაც მან 1972 წელს მონაწილეობა მიიღო ტაშკენტში გამართულ აფრიკისა და აზიის პროგრესულ მწერალთა ფორუმში. „თუკი, ოდესმე კვლავ მომიწევს თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლა, უსათუოდ ვესტუმრები საქართველოს. მადლიერი ვიქნები, თუ ჩემს ლექსებს ვიხილავ ქართულ ენაზე" — გვწერს დურგავატ სინგჰი. იგი საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, პროგრესული საზოგადო მოღვაწე და აქტიური წევრია ინდოეთის ოჯახის დაგეგმვის საზოგადოების კომისიისა, ავტორია რამდენიმე სამეცნიერო შრომისა, რომლებიც ოჯახის საკითხებს ეძღვნება. ამჟამად, დურგავატ სინგჰი ინდოეთის ცენტრალური ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციის თანამშრომელია. დურგავატის ლირიკა ნატიფი ემოციურობით, ფილოსოფიური სიღრმითა და ფორმის თანამედროვეობით გამოირჩევა.

მკითხველს ვთავაზობთ ინდოელი პოეტი ქალის დურგავატ სინგჰის რამდენიმე ლექსს.

**ნიკოლოზ კენჭოშვილი,**
ჰინდოლოგი.

## ჩემი სიყვარული

ჩემი სიყვარული — მდინარის დინება —
ყოველ ჟამს,
ყოველ წამს სწრაფვა რომ ინება.

ჩემი სიყვარული — უბიწო ბავშვია,
სიმძიმე, სიხარბე ვერასდროს დაშლიან.
ჩემი სიყვარული, იგი მორევია —
ყველა იალქანი რომ ვერ მორევია.

დიამც, ჩემს სიყვარულს ყველა ვერ ეთნება,
და ხელი ყოველი ვერც ჩამოერთმევა.

ჩემი სიყვარული — განდობა მლოცველის,
მზეს ზევით აღმომხდარს სხივს ჰმატებს
ოცნებით.
ჩემი სიყვარული — ჩამავალ დაისებს
ხვალ ამობრწყინების იმედად დაისევს,
ჩემი სიყვარული — სითბოა მარადი,
და სიჭაბუკეა დღეიდან ხვალამდის.

თარგმნა **ნაზი კილასონიამ**

## ხანდახან

ასე მგონია ხანდახან,
რომ შენ აღარ ხარ ჩემთან,
აღარც იმედი ანათებს,
სარკედ დამიდგა ხევდა.
კალათა თაიგულებით
ცარიელია ჩემი,
სურნელიც გაქრა ყვავილთა,
ფოთლებს დაცვივდა ცრემლი.
მინდა, რომ გავსცდე ჩემს ოთახს,
მაგრამ რა ვუყო კედლებს.
ფრთებსა ვშლი, მაგრამ საშენოდ
ცაც მეკეტება დღემდე.
ბრჭყალებს უხილავს ვიშორებ,
წუღულებს ვიამებ ჟამთა.
კარზე მომდგარი სვე-ბედი
გულზე მაცრემლებს კალთას.

## ფესვები

დავალ მდუმარე და მეჩვენება,
უცხო ფესვები იზრდება ჩემში,
ფერმკრთალნი, ნელა კრთიან თითები,
თითქოს ქვისაგან არიან თლილნი.
და სანამ ურვით ვიტყოდე რამეს,
ბაგეზე ბაგე მიქვითკირდება,
მისაწვდომს ვიდრე მივწვდები, ვიხევ,
ჩემი ჩინარიც უჩინარდება.
იმედის მტრედი, თეთრმკერდიანი,
ფრთების ფარფატით შორდება გუმბათს,
და ლურჯ ზესკნელში მიიკარგება.
ძველი ტირიფი ხარობს ტაძართან,
და კელაპტრებზე დნება სანთლები,
მათი ალები რომ მელანდება,
უცხო ფესვები იზრდება ჩემში.

ჰინდურიდან თარგმნა
**ნიკოლოზ კენჭოშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი გაბრიჩიძე

# ლექსის დედა

ომის პირველ წლებში ჩამოყალიბდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ნორჩ ლიტერატორთა კაბინეტი და იმთავითვე ქეთევან ანანიაშვილი აღმოჩნდა ამ ახალი მდინარების სათავეში. ჩვიდმეტი წლის მანძილზე ეძებდა და პოულობდა იგი შთაგონების მადლით დაჯილდოებულ ახალგაზრდობას და შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა მასთან. მარტო ერთი დღე რომ აღწერო ამ წლებიდან, მთელი ფილმი გადაიღება, მთელი წიგნი დაიწერება.

საგანგებოდ არავის დაუვალებია, მომავალი მწერლები, ჟურნალისტები, ხელოვნების მუშაკები უნდა აღზარდოო. ამ საქმეში წინამორბედი არ ჰყოლია, თვითონ კი ისეთი ახალგაზრდა იყო, რომ უფროსკლასელებისაგან ვერც გამოარჩევდით. ჰოდა, ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ახლა, ორმოციოდე წლის შემდეგ, ქართული კულტურის მოღვაწეთა მთელი არმია სწორედ ამ სათუთი, მშვენიერი ქალის არაჩვეულებრივი პედაგოგიური ტალანტის წყალობით აღმოჩნდებოდა დაფრთიანებული.

სხივიანი შავი თვალები, ლამაზად აკეცილი მკვრივად დაწნული კუნაპეტი ნაწნავები, სახის უებრო წყობა და სინატიფე — აი, როგორი ახსოვთ იგი მის მოსწავლეებს — რეზო თაბუკაშვილსა და ნანა ხატისკაცს, გოგი თოთიბაძესა და ლანა ღოღობერიძეს, ნაზი კილასონიას და გურამ ასათიანს, გივი გეგეჭკორს და გურამ კანკავას, დევი და მელორ სტურუებს. ყველაფერი გამორჩეული ჰქონდა — ხმაც, ღიმილიც, სიარულიც, სიხარულის გამოხატვისა თუ თავგანწირვის უნარიც...

მართლაც, რა ძალა იყო საჭირო, რომ დღეც ემუშავა და ღამეც, პოეზიის საღამოებიც მოეწყო და დისპუტებიც, ახლადგამოსული წიგნებიც გაეცნო ყმაწვილებისათვის და მათი საჯაროდ განხილვაც ესწავლებინა, ლექსის საიდუმლოც მართლაც და საიდუმლოდ, ინდივიდუალურად გაენდო მათთვის და ბავშურ, გულუბრყვილო სტრიქონებში მომავალი ოთარ ჭილაძეც დაელანდა.

საერთოდ, შემოქმედ ბავშვებთან მუშაობა, როგორც ჩანს, ძნელად ეგუება წინასწარ შედგენილ პროგრამებს, დადგენილ საათებსაც კი. წარმომიდგენია, რა მოხდებოდა, სასახლის ხვეულ კიბეზე გულისხეთქებით ამოვარდნილი ჯანსუღ ჩარკვიანისათვის, ახალი ლექსებით რომ უნდოდა „ქეთო დეიდას" გახარება, ქეთევანს რომ ეთქვა: ჩემი სამუშაო საათები ამოიწურა, სხვა დროს შემოიარეო. ნეტავ რა მოგვივიდოდა ჩვენ, ვახუშტი კოტეტიშვილს და დათო წერედიანს, ემზარ კვიტაიშვილს და თამარ ჯავახიშვილს, მაყვალა ჯმუხაძეს და ელზა დოკვაძეს, დენიზა ზუმბაძეს და მე, ვისაც ქეთევან ანანიაშვილი ყველა ახლობელზე ახლობლად გვექცა, მის ძველებურ, სადა, მაგრამ პოეზიის უნაზესი მზით განათებულ ბინაში, კოტე მესხის ხუთ ნომერში მისულებს, მისი დიდებული ოჯახის წევრებისაგან რომ მოგვესმინა, ქეთოს არა სცალია, ათასი საქმე აქვს და სამსახურში მიაკითხეთო...

ინჟინერი რომ სახლს ააშენებს, მერე შეუძლია სხვა საქმეზე იზრუნოს, ადამიანთა ურთიერთობისას კი ასე როდი ხდება. ხომ არ გგონიათ, ერთ თაობას რომ აღზრდიდა ქეთევანი, ახლა სხვების რიგი და ჯერი იყო და ისინი, ბუდიდან გადაფრენილნი, აღარ საჭიროებდნენ მის მეურვეობას. პირიქით, შენაკადები ერთმანეთს ერთვოდნენ და ყველანი ერთად კვლავ მის გარშემო ვიყრიდით თავს;

სამწუხაროდ, ამ ქვეყნად აღარ არიან მისი გაზრდილები გურამ ბალათურია და ინოლა გურგულია, თავის უკანასკნელ ინტერვიუში ისევ სასახლეზე და დეიდა ქეთოზე რომ ლაპარაკობდა... აღარ არის შესანიშნავი მხატვარი რენო თურქია, რომელმაც დიდი სიყვარულით დახატა ქეთევანის პორტრეტი (ჩვენ სწორედ ამ პორტრეტს ვთავაზობთ მკითხველს...)

ახლა, როდესაც გავიზარდეთ და მომავალი შემოქმედი ახალგაზრდობის აღზრდის საქმე ჩვენს საკუთარ საზრუნავადაც მიგვაჩნია, ჩვენი გზა ისევ და ისევ ქეთევანთან მიდის.

როგორ წაგვახალისებდა ხოლმე, მოგვიწონებდა გაბედულობას, სითამამეს. უკეთესისაკენ ისე გვიბიძგებდა, ვერც კი ვგრძნობდით. რამდენი აღსაზრდელიც იყო, იმდენი მეთოდი მქონდაო, იგონებს ქეთევანი.

„დისპუტის ალში იყო გატარებული ჩვენი ქალაქის ახალი თეატრალური დადგმები, ახალი კინოფილმები, ახალი ნაწარმოებები. სწორედ ამგვარად ხდებოდა ჩვენი პიროვნული თვითდადგინება, ლიტერატურული თვითდამკვიდრება და ამგვარად გვეძლეოდა საკუთარი ძალების რწმენა" (გურამ კანკავა).

„ქეთევან ანანიაშვილის უმთავრესი ღირსება ის იყო, რომ ის თავის უმცროს მეგობრებს მაქსიმალურ თავისუფლებას აძლევდა, რათა ჩვენ შინაგანი დამოუკიდებლობისა და გაბედული ძიების ინსტინქტი არ მოგვდუნებოდა" (გურამ ასათიანი).

„ლიტერატურული კაბინეტი, რომელსაც დიდხანს ხელმძღვანელობდა ქეთევან ანანიაშვილი, იყო ქართული შემოქმედების ერთ-ერთი ნაყოფიერი კერა. აქ სუფევდა თავისუფლება, სითამამე, კრიტიკული მიდგომა ყალბი ავტორიტეტებისადმი. ეს იყო ერთგვარი ფილიალი საქართველოს მწერალთა კავშირისა, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ აქ უფრო ცხარე კამათი იმართებოდა და ქეთევან ანანიაშვილის მოწყობილ საღამოებზე დასწრების უთვალავ მსურველს ხშირად მილიციის მუშაკები იგერიებდნენ" (დევი და მელორ სტურუები). ასე იგონებენ ქეთევანის აღზრდილები იმ გარდასულ დღეებს, როდესაც ბავშვობასაც, ქვეყანასაც, მთელ სიცოცხლეს საზარელი მტერი ემუქრებოდა. ვინ იცის, ომის სუსხით სუნთქვაშეკრულ, შუქჩამქრალ ქალაქში რამხელა სიხარული და იმედი იყო პოეზიის ცეცხლით აბრიალებული ეს მანათობელი კერა.

აი, ორიოდე სტრიქონი ჯანსუღ ჩარკვიანის ბარათიდან: „თქვენ გახსოვთ, როგორ არ გახსოვთ, სულ პატარას პოეტობა დამაბრალეთ... მას შემდეგ ერთად ვიყავით მე და თქვენ, ჩემი სულის უნაზესი დედა, ჩემი „უმკაცრესი" გადია... ყველა ლიტერატურული დილა და საღამო, სადაც კი თქვენი დიდი წადილი და ენთუზიაზმი იყო, სადაც კი ჩვენ ვმონაწილეობდით, ახლა გულში მაქვს და ვუღიმი. ვუღიმი და გიცქერით ტრიბუნიდან. მე ლექსს ვამბობ და თქვენ ღელავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნეტაი თქვენ, დეიდა ქეთო, თუნდაც შემეშალოს, მერე რა, მე ხომ პატარა „ბიჭუკელა“ ვარ“...

შეუძლებელია რომელიმე საშტატო ერთეული ითვალისწინებდეს ყოველივეს, რაც ქეთევანმა მისი აღზრდილებისათვის შესძლო. ჩვენი სულიერი სიახლოვე დღესაც განუყოფელია, კვლავ ერთად ვკითხულობთ ახალ ლექსებს, აქ მოვარბენინებთ ჩვენს სალებავშეუმშრალ წიგნებს, ვიხსენებთ წარსულს, ვღელავთ, ვიცინით...

ასაკი... ასაკი მხოლოდ მაშინ ეტყობა ოდნავ, თავის მეგობარ მწერლებზე როცა იწყებს მოყოლას: აკაკი გაწერელიას არ ვასვენებდი, სულ გვერდით მყავდა, როცა დიდ შეხვედრებს ვმართავდიო. ერთად ვიგონებთ ხოლმე კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძეს ,სიმონ ჩიქოვანს, გერონტი ქიქოძეს, იოსებ გრიშაშვილს, ბესარიონ ჟღენტს, რომლებიც მართლა მარჯვენა ხელად გაეხადა, როცა შემოქმედ ბავშვთა აღზრდის ძნელსა და „ხიფათიან“ საქმეს ემსახურებოდა.

არც რუსი მწერლების ყურადღება გვაკლდა. ბევრი ჩვენგანი პირისპირ შეხვედრია არსენ ტარკოვსკის, ნიკოლოზ ტიხონოვს, ბორის პასტერნაკს. ისინი ანანიაშვილების ოჯახთანაც მეგობრობდნენ (იქ ადრე ხშირად ყოფილა ტერენტი გრანელი) და ჩვენს სულიერ ჩამოყალიბებაშიც იღებდნენ მონაწილეობას. იქნებ აქაც იყოს გასაღები იმ საიდუმლოებისა, რაც ვერა და ვერ ამომიხსნია დღემდე: სახელდობრ, როგორ, რა გზით შეიძლება აღზარდო ამდენი შემოქმედი ერთმა შვეღივით ნაზმა და ქართული ჩუქურთმასავით ნირუცვლელმა ქალმა.

ცამეტიოდე წლის დამწყებ პოეტს რომ გალაკტიონთან საუბრის საშუალებას მისცემ მრავალგზის, სიმონ ჩიქოვანთან რომ დაამეგობრებ, ლადო გუდიაშვილის დიდ ხელოვნებას რომ აზიარებ, ილიაზე და რუსთაველზე რომ გაამიჯნურებ, ძიებას რომ შეაჩვევ და ტრაფარეტს შეაჯავრებ, განა ამით მის მომავალს სრულიად გარკვეული გეზი არ ეძლევა?!

ქეთევანი მთელ თავის დროს ბავშვებთან ატარებდა; ეს იმდენად ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ახლა კიდეც გვიკვირს. თვითონ როდისღა ასწრებდა წერას; ნეტავ ახლა მაინც შეკრიბოს თავისი ნარკვევები და წიგნად გამოსცეს. ბოლოსდაბოლოს ის ხომ ნამდვილი შემოქმედია...

ერთი სურვილი მინდა გავამხილო კიდევ, დღემდე რომ არსად დამცდენია: ნეტავ არსებობდეს კუთხე, სადაც ქეთევან ანანიაშვილი ძველებურად შეხვდებოდა ნიჭიერ შემოქმედ ბავშვებს, მთელ რესპუბლიკაში დაძებნიდა მათ და თავის ნამდვილ მოწოდებას, ნამდვილ სამამულო საქმეს დაუბრუნდებოდა. ხომ არ იქნებოდა ძნელი, თუნდაც მომავალ ლიტერატორთა სახლში დაგვეთმო პატარებისათვის ერთი ოთახი?! მერე კი... მერე ნორჩ შემოქმედთა ჟურნალზეც შეიძლებოდა ოცნება...

აი, ცოტა რამ ქეთევან ანანიაშვილზე, „ლექსის დედაზე“, ჩვენს დეიდა ქეთოზე.

აკაკი დევიძე

# მარიამისეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

მხატვარი ცინარა ტერელაძე

მთელი ღამე ყეფდა ბროლია.

დილაადრიან, სოფლის განაპირას, შეშფოთებული მეზობლები ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ვისი ძაღლი ყეფდა წუხელ ასე გამუდმებით?

— მარიამის ბროლია იყო. დაღლილი ვიყავი და ძილს თავი ვერ გავართვი, თორემ ავდგებოდი, — თქვა ერთმა.

— უბედურება ხომ არაფერი მომხდარა?

— ვინ იცის...

— წავიდეთ, გავიგოთ!...

მარიამის სახლისკენ უსიტყვოდ დაიძრნენ. ერთი მათგანი დაწინაურდა, რკინის ჭიშკარი გააღო და მეზობლებს წინ გაუძღვა. ბროლია გამოეგება სტუმრებს, შეჩერდა, თითქოს უსაყვედურა, სად ხართ ამდენ ხანსო, მერე კი სწრაფად შებრუნდა და წკმუტუნით გასწია წინ. სასწრაფოდ აირბინა ოდა სახლის კიბეები და აივანზე შეჩერდა.

ოთახში მეზობლები შემოვიდნენ. ერთმა საბანი გადასწია და მარიამის ჭაღარა თავი გამოჩნდა. უსულო... თვალებდახუჭული...

— აუჰ! — ერთხმად აღმოხდა ყველას.

ქალებმა ხმამაღალი ტირილი მორთეს. ვერც კაცები იკავებდნენ ცრემლს.

— წნევა ჰქონდა საწყალს, ალბათ წუხელ დამბლა დაეცა! — თქვა ერთმა.

ასეც იყო...

— აფსუს, რა შვილები დაზარდა და როგორ უპატრონოდ მოკვდა!

— შვილები და რა შვილები! — ჩაიქირქილა ვიღაცამ.

— რად მინდა მაგისთანა შვილები! სოფელზეც ხელი აიღეს და დედაზეც. ნეტავი ვიცოდე, ამისთანა რა ყრია იმ ქალაქში, რომ ყველაფერს გავიწყებს კაცს.

— საცოდავი მარიამი, უბედური ქალი ყოფილა.

გათენდა, ხეებიდან ქათმები ჩამოფრინდნენ. ყვითელგულა მამალი დინჯად დადიოდა ეზოში, ქათმებს წინ მიუძღოდა.

საღორეში ღორები აწრიალდნენ. ძროხაც აბღავლდა. გაშეშებული იდგნენ ალვისხეები, ფოთოლიც კი არ ინძრეოდა. ჰაერი დამძიმდა.

— მიხედეთ, ქალებო, აქაურობას. — დინჯად წარმოთქვა ზოსიმე პაპამ.

დატრიალდნენ ქალები. ერთმა საღორის კარი გამოაღო და ძლივსძლივობით გადარეკა ღორები გადაღმა. მეორემ ძროხას მიაშურა და მოწველა დაუპირა, მაგრამ ვინ მიიკარა! მესამე სახლში შევიდა, სიმინდი გამოიტანა და ქათმებს გადაუყარა. ქათმებმაც იუცხოვეს უცნობი დიასახლისი, დაფრთხნენ.

კაცებმა იმსჯელეს, დასაფლავების დღე დანიშნეს და შვილებთან დეპეშები აფრინეს.

მარიამის ვაჟები იშვიათი სტუმრები იყვნენ თავიანთი სოფლისა. ზაფხულობით თუ ჩავიდოდნენ იქ და, ისიც, — ცოტა ხნით. ახმაურდებოდა მაშინ ეზო-გარემო, შვილიშვილები მაგნიტოფონს ჩართავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ და სიცილ-კისკისით იკლებდნენ იქაურობას. უხაროდა მარიამს. ჩიტივით დაფრინავდა ეზოში. უფრო ამაყად და წელგამართულად დადიოდა, გრძნობდა, რომ მარტო არ იყო ამ ქვეყანაზე და მის კერიაზე კვლავ ენთო ცეცხლი.

ხანმოკლე იყო ეს სიხარულიც. შვილები, თავიანთი ოჯახებით, მალე გაიკრიფებოდნენ სოფლიდან, ჯერ ზღვაზე გასწევდნენ, შემდეგ კი ისევ თბილისს მიაშურებდნენ. მარიამი რჩებოდა მარტოდ, სულში კვლავ ისადგურებდა ნაღველი.

მაინც მთელი დღე ფუსფუსებდა კარმიდამოში, სამოთხეს დაამგვანა იქაურობა. ვის არ მოხიბლავდა კოინდრით ამწვანებული და ხეხილით სავსე ეზო, ოდა სახლის წინ საგულდაგულოდ მოვლილი ვენახი და წკრიალა, ცივი წყარო, თითქოს და საგანგებოდ რომ მოჩუხჩუხებდა ბაღში.

* * *

მეორე დღესვე ჩამოვიდნენ მარიამის შვილები, რძლები და შვილიშვილები. დიდძალი ხორაგი ჩამოიტანეს, შავებიც შეიკრეს...

დიდი პატივისცემით დაასაფლავეს მარიამი. ყველამ გული მოიოხა და გულწრფელად დაიტირა მოხუცი. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, მარიამი ხომ ყველასათვის კარგი იყო, მშრომელი, პატიოსანი და გულმართალი დედა. თანდათანობით მიწყნარდა ყველაფერი მარიამისეულ კარმიდამოში. შვილიშვილები ადრე წავიდნენ, შვილები და რძლები კი საქმის მოსაგვარებლად დარჩნენ და... მოაგვარეს კიდეც:

გაყიდეს ძროხა. გაყიდეს ღორები. გაყიდეს ქათმებიც. ჯერი სახლზე მიდგა.

ბევრი ნატრობდა ამ კარმიდამოს და ბევრსაც ეჭირა თვალი, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ მარიამის სამი ვაჟიშვილი ასე იოლად გაიმეტებდა მას.

— რად მინდა აქაურობა. სოფელში ვერც მე ვიცხოვრებ და ვერც ჩემი შთამომავლობა. — თქვა უმცროსმა ვაჟმა.

— ვერც მე! — დაუმატა საშუალომ.

— ჰოდა, არც მე მინდა! — დაუდასტურა სულ უფროსმა.

ცოლებმაც მხარი აუბეს ქმრების სურვილს და სულ მალე ჭიშკარზე განცხადება გაჩნდა: „იყიდება სახლი“.

ეწყინა მარიამის ნათესაობას. ეწყინათ კეთილ მეზობლებსაც. გამოჩნდნენ მუშტრები. ისინი ზედიზედ მოდიოდნენ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მორიგდნენ. „ძვირად აფასებთო“, ამბობდნენ. შეიძლება მართალიც იყვნენ: საფასური სამ ნაწილად უნდა გაყოფილიყო და ყველას უნდოდა მეტი მიეღო.

დატრიალდნენ „შუა კაცები“ და მოიყვანეს ყველაზე უფრო საიმედო მუშტარი — ანტიფო გელაზონია.

ანტიფოს ფულიანი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი სოფელში. დანამდვილებით არავინ იცოდა საიდან შოულობდა ამდენ ფულს. ერთხანს, მაღაზიის გამგედ იყო. მერე დაფნითაც ვაჭრობდა და სხვადასხვა ქალაქებში დაძვრებოდა. სოფელში ხანდახან თუ გამოჩნდებოდა. ცოტახანს წაიმუშავებდა კოლმეურნეობაში და ისევ გაქრებოდა. კოხტად გამოწკეპილი დადიოდა, ცოლ-შვილიც კარგი მოვლილი ჰყავდა, ოჯახს არაფერს აკლებდა. ანტიფოს აღარ მოსწონდა მამისეული კარმიდამო, უკეთესი უნდოდა. რამდენჯერმე ითხოვა ნაკვეთი, შესთავაზეს კიდეც, მაგრამ არ მოეწონა, მზამზარეულ კარმიდამოს ეძებდა. სადა მაქვს სახლის კეთილმოწყობის თავიო, იტყოდა ხოლმე. ჩასაფრებული იყო სხვისაზე. როგორც კი გაიგებდა სოფელში სახლი იყიდებაო, ისიც იქ გაჩნდებოდა ხოლმე. ასეა თუ ისე, ერთი რამ აშკარა იყო: ანტიფო იოლი გზით ცხოვრობდა და ამიტომ არავის უყვარდა სოფელში.

მორიგდნენ. ანტიფომ იყიდა მარიამისეული კარმიდამო!

მარიამისეული ავეჯიც იყიდა, მისი თბილისში წაღება არ იკადრეს შვილებმა. ერთი სიტყვით, გაყიდეს ყველაფერი, რისი გაყიდვაც კი შეიძლებოდა. ბროლია კი ვერ გაყიდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს აიკრეს გუდა-ნაბადი, გამოემშვიდობნენ მამაპაპისეულ კარმიდამოს, მეზობლებს, ბროლიას და წავიდნენ...

როგორც კი ხელთ იგდო მარიამისეული კარმიდამო, ანტიფომ ჩასახლებამდე ის ჭადარი მოჭრა, ჭიშკრის გადაღმა რომ იდგა. მის ძირში ხშირად იყრიდნენ თავს მეზობლები, ბჭობდნენ თავიანთ ჭირ-ვარამზე, ან კიდევ ერთობოდნენ და დროს ატარებდნენ. ეს ამბავი არ ესიამოვნებოდა ანტიფოს, გრძნობდა, რომ თავისი ბნელი საქმეების განხორციელებაში ასეთი თავყრილობები ხელს შეუშლიდა.

ყველას ეწყინა ამ ჭადრის მოჭრა...

მეორე დღეს კი მარიამისეულ კარმიდამოს ბარგით დატვირთული საბარგო ავტომანქანა მოადგა.

ეს ახალი პატრონი იყო, — ანტიფო გელაზონია.

დინჯად გადმოვიდა მანქანიდან, მიმოიხედა, ირგვლივ, ჭიშკარი გააღო და ეზოში შევიდა.

გააფთრებული გამოვარდა ბროლია და უცხო ადამიანს ფეხებში ეცა. შეშინებული ანტიფო კაბინაში შევარდა და ნაკბენი ფეხი ძლივსძლივობით აითრია. მაინც არ ჩერდებოდა ძაღლი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყეფდა და ისევ მიიწევდა ანტიფოსაკენ. გაოგნებული ისხდნენ კაბინაში ანტიფოც და მძღოლიც და გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდნენ

მეზობლები მოგროვდნენ... ძაღლი არ იქნა და არ დაცხრა.

— ალბათ გაცოფდა!

— თუ გაცოფდა, უნდა მოვკლათ!

— გაცოფებულს რა უგავს?

— სულ ერთია, მე მაინც მოვკლავ! — წამოიძახა გამწარებულმა ანტიფომ, კაბინის კარი გააღო და ჩამოსვლა დააპირა, მაგრამ ზოსიმე პაპა მიიჭრა, ანტიფო შეაჩერა, თვალი თვალში გაუყარა და დინჯად უთხრა:

— ვერაფერსაც ვერ მოკლავ, ჩვენ არ მოგცემთ ამის უფლებას!

— რატომ? — იკითხა ანტიფომ.

— ისიც სულიერი არსებაა, ჭკვიანი და გონიერი. თავი დაანებე. უკან წადი, გირჩევ.

ზოსიმეს სიტყვებმა ერთბაშად ჩააჩუმა ანტიფო. წახდა კაცი.

— მართალს გეუბნება ზოსიმე ბიძია. არ ღირს შენი მოსახლეობა აქ! — თითქმის ერთხმად დაადასტურეს ზოსიმეს ნათქვამი მეზობლებმა.

— მართალს მეუბნება? — როგორც იყო გამოერკვა ანტიფო და, ეჭვის თვალით გადახედა ყველას. მერე შოფერს რაღაცა ანიშნა. მანქანა აქოთქოთდა, უცებ მობრუნდა, ერთბაშად მოწყდა ადგილიდან და გასწია.

...ამბობენ, ანტიფომ თავისი ფული უკანვე დაიბრუნაო. ვინ იცის, შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: იმის შემდეგ არც ანტიფო გამოჩენილა და არც მარიამის შვილები. ეს ერთი ხანია დიდი ბოქლომი ადევს მარიამისეული კარმიდამოს ჭიშკარს.

ბროლია კი ყეფს, ელის ნამდვილ პატრონს, ოჯახის გულშემატკივარს.



# წლები სიყვარულით გალეული

უმეტესწილად ასე ხდება: ადამიანი, ხასიათი აქვე, შენს გვერდით არის, შენ კი... ცხრა მთის იქით დაეძებ. სწორედ ასე შეიძლება ითქვას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ჯანმრთელობის პუნქტის გამგეზე, მარიამ ცომაიაზე, რომელიც 33 წელია სიყვარულით ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის საქმეს.

ვსაუბრობთ ჩვეულებრივ, პატივცემული მარიამი თავის ცხოვრების ზოგიერთ მნიშვნელოვან მომენტს იხსენებს... ჯანპუნქტში არ მთავრდება ადამიანების ნაკადი, ჩვენი საუბარიც დროდადრო წყდება: ავადმყოფს წნევას უსინჯავს, მაჯისცემას უთვლის, წამალს და რჩევა-დარიგებას აძლევს...

ზოგიერთს მოთმინება არ ჰყოფნის, ერთი სული აქვს, წამოდგეს... — ჟურნალისტები მოუსვენარი ხალხია, სულ სადღაც მიეჩქარებათ, სულ სადღაც უგვიანდებათ...

ქალბატონი მარიამი ვერაფერს აწყობს, გაჯავრებული შლის ხელებს, თავს სინანულით იქნევს, კარამდე მისდევს და, ვინ იცის, მერამდენედ უმტკიცებს, რომ ჯანმრთელობას დროზე სჭირდება გაფრთხილება.

* * *

ომი რომ დაიწყო, ცნობილი ფთიზიატრის აკაკი ცომაიას ოჯახი იმხანად ქობულეთში ცხოვრობდა. ავთანდილი, უფროსი ვაჟიშვილი ის იყო, სამი წლისა გახდა.

ცოლ-ქმარმა ფრონტზე წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ბავშვი? — და წავიდა მხოლოდ აკაკი, რომელმაც ბერლინამდე სდია მტერს.

მარიამი (მეორეც შეეძინა) თავის პატარებთან ერთად აფთიაქის შენობაში ცხოვრობდა და დღედაღამეს ასწორებდა.

— იცით, — მომიბრუნდა იგი, — მტკიცედ მწამდა, გავიმარჯვებდით და აკაკი უკან დამიბრუნდებოდა...

მაისი... ღია კარებში ვალმოხდილი სამხედრო ექიმი დგას და ნაღვლიანად იღიმება.

* * *

და ქალბატონ მარიამთან საგანგებოდ ჩვენი ჟურნალისათვის შეხვედრა მაშინ შედგა, როცა გაზაფხული აფეთქებული შვინდისა და ტყემლის ყვავილებით მიაცილებდა აპრილს, რომელმაც უნებლიედ იმ მძიმე დღეების გახსენებას გაუღო კარი, როცა ზეცა გაუგონარი ცეცხლით იწვოდა და გაზაფხულიც ტალახში აზელილი სისხლის სუნით იყო გაჯერებული.

...ოთახში მორიგი პაციენტი შემოვიდა და ჩვენც საუბარი დამთავრებულად ჩავთვალეთ...

გამომშვიდობებისას ქალბატონმა მარიამმა კიდევ ერთი ფრაზა დამაწია: „...1800 კაცს ვემსახურები..."

დალი დვალი.



გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადებების ქმედითობისა თუ გჯერა? — ჰკითხა ერთმა ბიზნესმენმა მეორეს.

— რა თქმა უნდა. განცხადება მივეცი, მალაზიაში ღამის დარაჯი მჭირდება-მეთქი, და მალაზია იმავე ღამეს გაძარცვეს.

*

— ახლა დავრწმუნდი, ბატონო ოფიციანტო, რომ დრო ნამდვილად ფულია! — უთხრა კლიენტმა.

— რას გულისხმობთ?

— დანახარჯის ანგარიშისათვის დღევანდელი რიცხვიც მიგიმატებიათ.

*

მოგზაურები ჯუნგლებში ადგილობრივ მცხოვრებს შეხვდნენ, რომელიც გაშმაგებით უბრახუნებდა დაფდაფს.

—ვიცნობ ამ რიტმს, — გადაუჩურჩულა ერთმა მეორეს, — წყალს ითხოვს, ახლავე შევამოწმებ!

— გვითხარით, გეთაყვა. — მიმართა მან ველურს, — ღმერთს წვიმას შესთხოვთ?

— გამოიცანით, — მიუგო მან, — უფრო სწორად, სანტექნიკოსს ვეძებ, წყალსადენი რომ შეაკეთოს.

* * *

სტამბოლში სასამართლო პროცესზე ბრალდებულმა თქვა:

ჩემს მსხვერპლს ყოველთვის ღლისით ვესხმოდი თავს. ღამით საშიში იყო ნაძარცვი ფულით სიარული...

*

— არცერთი შეცდომა არ არის, — უთხრა მასწავლებელმა ბიჭუნას, როდესაც საშინაო დავალება შეუმოწმა, — ოღონდ ნუ დამიმალავ, მამაშენს ვინმე დაეხმარა?

*

ორი ქურდი უცხო ბინას ძარცვავდა. უცებ სირენის გამკივანი ხმა გაისმა.

— პოლიციააა! გადახტი სწრაფად ფანჯარაში! — უთხრა ერთმა მეორეს.

— რას ამბობ, მეცამეტე სართულიდან?!

— გადახტი, გადახტი, ახლა ცრუმორწმუნეობის დრო არ არის!

*

ექიმო, ამ ბოლო დროს წონაში საგრძნობლად მოვიმატე და რა მეშველება?

— მეტი უნდა იმოძრაოთ, ბატონო კუშე.

— სამსახურში ფეხით დავდივარ და სხვა რა ვქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ათანახეანთ სოფიო“

„ათანახეანთ სოფიო“ — ასე ეძახდა თელავში დიდი და პატარა სოფიო ჩერქეზიშვილ-ვახვახიშვილისას. იგი მრავალი საზოგადოებრივ-საქველმოქმედო საქმიანობის მესვეური იყო, კერძოდ, მრავალ სასწავლებელში ჰყავდა ეგრეთწოდებული სტიპენდიანტები, რომელთაც საკუთარ ხარჯზე ასწავლიდა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ცნობას, რომელიც გაზეთ „ხმა კახეთისაშია“ გამოქვეყნებული (ეს გაზეთი სიღნაღში გამოდიოდა 1912—1917 წლებში).

...ერთხელ ზეიმზე მოუწვევიათ სოფიო ედიშერის ასული ჩერქეზიშვილ-ვახვახიშვილისა, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილებისათვის შეუწირავს 1.500 მანეთი იმ მიზნით, რომ 1.200 მანეთის სარგებლით ერთი ქალიც გაზრდილიყო თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში, ხოლო 300 მანეთი გადასცემოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლას.

სოფიო ჩერქეზიშვილი ივანე ჯავახიშვილის დედის სოფიო ვახვახიშვილის დედინაცვალი იყო, რომელმაც სოფიო და მისი ძმა ნიკოლოზი დედობრივი მზრუნველობით გაზარდა. შვილიშვილებიდან განსაკუთრებული გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდა ივანესთან, რომელსაც ჯერ პეტერბურგში, შემდეგ კი გერმანიაში, უხვად უგზავნიდა ფულს.

ექიმ ნიკოლოზ ზაუტაშვილს, რომელიც დღეს სოფიო ვახვახიშვილისეულ ბინაში ცხოვრობს, ჰქონდა ჰერში უნახავს ივანე ჯავახიშვილის სტუდენტობის დროის წერილების ერთი დიდი შეკვრა. მათი ადრესატი ბებია „ათანახეანთ სოფიო“ იყო. ამ ქაღალდებიდან. სამწუხაროდ, ერთ ფურცელსღა მივაკვლიეთ, ეს არის — ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობის მიერ 1913 წელს შედგენილი ადრესი. მკითხველს ვთავაზობთ ამ დოკუმენტს: „ღრმად პატივცემულო კნეინა სოფიო. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა სიხარულით მოგმართავს დღეს მოკლე სიტყვით, რომელითაც უნდა შეეხოს თქვენი მხურვალე გულიდგან, კეთილ ადამიანობიდგან წარმომდგარს საშვილიშვილო საქმეს და ქველმოქმედებას.

უძველეს ხანიდან ჩვენს პატარა ქვეყანას უბედობა კვალში სდევდა და მხოლოდ შეუპოვარი გამჭრიახობით, მამაცური თავის დაცვით და თავგანწირული სამშობლოს სიყვარულით შეინარჩუნა თავისი არსებობა. ამ რთულს და გმირულ ცხოვრებას ჩვენი ერისას რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ მთელ მის მიმდინარეობაში დედაკაცს დიდი ნაწილი უზიდნია ერის არსებობისათვის და ჩვენი სამშობლო ჩვეული გამხდარა ქალებისაგან აუვავებისა...

აი თქვენ, კნ. სოფიო, გასძახეთ ქვეყანას უკვდავი სიტყვა პოეტისა „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“, ვევედრებით განგებას მოგანიჭოთ კიდევ ბევრი სიცოცხლე, რათა ჩვეულებრივი ადამიანი ძეგლად აღიმართო კაცთა წინაშე დიდი შოქმედების და საქმის მაჩვენებლად“.

სოფიო ხალხური მედიცინის მცოდნე იყო. მას ხელნაწერი კარაბადინი ჰქონდა და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა გაჭირვებულებს.

სოფიო ვახვახიშვილი კარგად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ალექსანდრე ყაზბეგსა და ვაჟა ფშაველას. წიგნები, რომლებზეც ამ დიდ მწერალთა ავტოგრაფებია, დღესაც ინახება ვახვახიშვილების შთამომავლებთან.

მ. გოგბაიძე,
თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი

---

— ეგ ძალიან მცირე ფიზიკური დატვირთვაა. ეცადეთ, პიკის საათებში ავტობუსით იმგზავროთ.

*

— ნეტავი ვიცოდე, სულ რამდენი ნათესავი მყავს.

— მაგის გაგება ადვილია, თუ დიდ თანამდებობას მიაღწევთ.

*

— შეხედე, მეექვსე რიგში კაცს სძინავს, — გადაულაპარაკა ცოლმა პარტერში გვერდით მჯდომ ქმარს.

— მერედა, მაგისთვის გამაღვიძე?! — უსაყვედურა ქმარმა.

*

— გუშინ დაგინახე, როგორ ამოდიოდი ღვინის სარდაფიდან.

— მაშ სულ იქ ხომ არ ვიჯდებოდი!

*

ორმა სტუმარმა ბარში ლუდი შეუკვეთა. ერთმა მათგანმა დასძინა:

— ოღონდ, თუ შეიძლება სუფთა კათხაში იყოს.

მიმტანმა იმწამსვე მოართვა ორი კათხა და იკითხა:

— სუფთაში რომელმა შემიკვეთა?

*

— ვფიქრობ, დასვენებაა საჭირო, — უთხრა მიმტანმა ქალმა მეტრდოტელს, — ეტყობა, დღეს ლამაზი არა ვჩანვარ.

— რატომ გგონიათ, რომ ასეა?

— ხურდა რომ დავუბრუნე, კაცებმა შემოწმება დაუწყეს.

*

ახალგაზრდა ქალმა ტირილით შესჩივლა ქმარს:

— გავიგე, მამა გაკოტრებულა.

— მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ჩვენი გაყრისათვის ის არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდა.

*

გაზეთის ცნობა:

— დღეს დილას, 7 საათზე, ქალაქის პირველ სამშობიაროში ქალბატონმა მაიერმა ხუთი გოგო დაბადა. ექიმები იმედოვნებენ, როგორმე მოვახერხებთ, რომ ბატონ მაიერს სიცოცხლე შევუნარჩუნოთო.

ჰასტონმა მოხუცი ჰარისონი მოინახულა, რომელიც ავად გამხდარიყო და ლოგინში იწვა. საწოლთან ტუმბოზე ვისკის ბოთლი ედგა.

— ჰარისონ, ნუთუ ეს არის შენი უკანასკნელი ნუგეში?

— არა, კარადაში კიდევ ერთი ბოთლია..

*

ვაჟი: თითქოს ამ ბოლო დროს ცოტა გასუქდით.

ქალი: ღმერთო ჩემო, განა ქალს ასეთ რამეს ეუბნებიან?!

ვაჟი: გთხოვთ მომიტევოთ, ვიფიქრე, თქვენი ასაკისათვის ამას უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს-მეთქი.

*

— ექიმის მისაღებში სამი საათის ჯდომის მერე მოხუცმა მარტინმა ველარ მოითმინა და ბურდღუნით გაემართა გასასვლელისაკენ:

— სჯობს, შინ წავალ და ჩემი სიკვდილით მოვკვდები...

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა



...ქსის სახ. საქ. სსრ
...ფოთ რესპუბლიკ...
...ბლიოთეკა

როცა მოვკვდები, გიტარით ხელში
მდინარის ქვიშას მე მიმაბარეთ,
როცა მოვკვდები, ფორთოხლებს შორის
ყვითელ ყვავილში ვპოვებ სამარეს...

გარსია ლორკა


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიტარა

ჩვენში კარგა ხანია უყვართ გიტარა — მრავალმხრივი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენის საუკეთესო საშუალება, სილამაზით, ტკბილხმოვანებითა და მდიდარი ისტორიული წარსულით გამორჩეული მუსიკალური საკრავი.

საქართველოში გიტარა მე-19 საუკუნეში გამოჩნდა. გადმოცემის თანახმად, იგი რუსეთიდან შემოიტანეს ქართველმა ოფიცრებმა. შვიდსიმიანი გიტარა, რომელსაც „რუსულ გიტარას“ ვუწოდებთ, იმ დროისათვის დიდად პოპულარული იყო რუსეთში. მის ფუძემდებლად ითვლება ცნობილი რუსი მუსიკოსი ანდრეი სიხრა (1773-1850). გიტარების გავრცელებას ხელი შეუწყეს აგრეთვე „მოხეტიალე“ ბოშებმაც, რომელთათვის ეს ინსტრუმენტი განუყრელი თანამგზავრი გახლდათ.

როგორც გადმოგვცემენ, იმ დროისათვის საქართველოში ამ საკრავის პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ ქართველ ქალს მზითვად, „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, გიტარასაც ატანდნენ.

გიტარა მარტო ჩვენი დედაქალაქისათვის კი არ იყო პოპულარული, ის თანდათანობით ფეხს იკიდებდა დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებშიც და, განსაკუთრებით, მუსიკალურ ქუთაისში... აქ, ალექსანდრე იშხნელის პატარა, ერთოთახიან სახლში საღამოობით ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე მეზობლები. ისინი იდგნენ ფანჯარასთან და ისმენდნენ, თუ რა ტკბილად მღეროდნენ პატარა გოგონები, ალექსანდრე იშხნელის შვილები: თამარი, ნინო, ზინაიდა და მარიამი. მალე მათ მთელს ქალაქში გაითქვეს სახელი. დები გამოდიოდნენ მუსიკისა და პოეზიის საღამოებზე; ახალგაზრდა მომღერლების რეპერტუარის შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მომღერალმა და კომპოზიტორმა ვარინკა წერეთელმა. („სულიკოს“ მელოდიის ავტორმა). იგი ეხმარებოდა დებს სიმღერების შერჩევასა და მომზადებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ხალხურ სიმღერებს.

დები იშხნელები გიტარის თანხლებით ასრულებდნენ როგორც ხალხურ, ისე ქართველი პოეტების ლექსებზე შეთხზულ სიმღერებს, რუსულ სიმღერებსა და რომანსებს.

1940 წელს, საქართველოს რადიომ დები სტუდიაში მიიწვია. მალე მათი ხმები მთელ საქართველოს მოეფინა. დიდი სამამულო ომის პერიოდში დები იშხნელები ხშირად მართავდნენ კონცერტებს ჰოსპიტლებში. სხვა სიმღერებთან ერთად უდიდესი პოპულარობა ხვდა წილად „სულიკოს“, რომელიც საყვარელი სიმღერა გახდა საბჭოთა მებრძოლებისათვის. თურმე მისი სახელობის პარტიზანული რაზმიც კი არსებობდა იუგოსლავიაში. მომღერლების გულშიჩამწვდომი, ღრმა პატრიოტიზმით აღსავსე სიმღერები მებრძოლებს ამხნევებდა, უნერგავდა გამარჯვების რწმენას. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ამჟამად ცოცხალია ერთი და, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ იშხნელი, მაგრამ ჩვენს შორის დარჩა ფირებზე აღბეჭდილი დები იშხნელების უკვდავი სიმღერები — ნათელი, განუმეორებელი.

წარსულ წლებში გიტარის თანხლებით გამოდიოდნენ: ბარბარა, ვარინკა, თამარ წერეთლები და მათი თანამედროვენი. ზემო იმერეთში ახლაც ცოცხალია საუკუნეს მიღწეული მარიამ ჩარკვიანი, რომელსაც იმ მხარეში იცნობდნენ როგორც გიტარის ჩინებულ დამკვრელსა და მასწავლებელს.

დღეისათვის საქართველოში მრავლად არიან გიტარის თანხლებით მომღერალი ქალები: მანანა მენაბდე (თ. იშხნელის შვილიშვილი), მაყვალა ჩიხლაძე, ეთერ ჭელიძე, ციალა ამაშუკელი, გიული დარახველიძე, ცინუკი დადიანი, ალინა ცხომარია, ნატალია ურუშაძე და სხვები, რომელთა ხელოვნება თანაბრად მომხიბლავია ყველა იმ ჟანრში, სადაც ეს მუსიკოსები მოღვაწეობენ. და რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ დღევანდელ საქართველოში, ჩვენს თანამედროვე მუსიკალურ სინამდვილეში, არცერთი პროფესიონალი კლასიკოს-შემსრულებელი ქალი არ გვყავს. ამისი მთავარი და ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ ამჟამად ჩვენს კონსერვატორიაში და მუსიკალურ ტექნიკუმებში გიტარის კლასი არ არის. მოსწავლეები, რომელთა შორის მრავლად არიან უდავო უნარის მქონენი, განათლებას იღებენ მხოლოდ საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალ საშუალო სკოლებთან არსებულ მუსიკალურ სტუდიებსა და, დედაქალაქში ერთადერთ — მე-9 მუსიკალურ სკოლაში, სადაც ექვსსიმიან საკრავზე მიმდინარეობს ნოტური სისტემით სწავლება. ვიმედოვნებთ ქართველი ქალები კლასიკური გიტარის ჟანრშიც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

დასასრულს, მინდა მოგაწოდოთ ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც 1979 წლის 6 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა: „გიტარა ერთერთი უძველესი მუსიკალური საკრავი — ახლახან გახლდათ კოსმოსში. საბჭოთა კოსმონავტმა ალექსანდრე ივანჩენკომ, თავის მეწყვილე ვლადიმერ კოვალიონოკთან ერთად, ოთხ თვეზე მეტი ხნით კოსმოსში რომ მიდიოდა, თან გიტარა წაიღო. ასე, რომ ამ ხნის მანძილზე, რაც დედამიწაზე არ იყვნენ, მუსიკა და სიმღერა არ მოჰკლებიათ“.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს ამჟამად უკვე ყველა მუსიკალურ საკრავთა შორის ერთადერთი კოსმონავტი ინსტრუმენტის ღირსებას!

ბივი თუშიშვილი,
ქ. თბილისის 57-ე საშუალო სკოლასთან არსებული მუსიკალური სტუდიის გიტარის კლასის პედაგოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფშაველი მოლექსე

ქალიკელ გორზამაული ერთი იმ ფშაველ მოლექსე ქალთაგანია, რომლის პოეტურ შემოქმედებასაც ღირსეულად უნდა მივაკუთვნოთ საპატიო ადგილი ხალხურ პოეზიაში.

ქალიკელის შესახებ მკითხველმა საზოგადოებამ, შეიძლება ითქვას, არაფერი იცის, მხოლოდ ხალხის მეხსიერებაა ის მდიდარი საგანძური, რომელმაც პოეტი ქალის რამდენიმე ლექსი შემოგვინახა.

ქალიკელ მამუკას ასული გორზამაული ჩარგლიდან იყო, გათხოვდა ივრის ხეობაში (ივრის ფშავში) სოფელ არტანში, გიორგი თეთრაულზე. ქალიკელი, როგორც მთქმელი და მცოდნე ფშავში სახელგანთქმული მოლექსე ქალის — ხვარამზე სამუკაშვილის ლექსებისა, პირველად თედო რაზიკაშვილმა გაგვაცნო. ჩვენ მივაკვლიეთ, რომ ქალიკელი, სხვათა ლექსების თქმასთან ერთად, ჩინებულად ახერხებდა თავისი გულისნადებისა და განცდების საკუთარ ლექსებში გამოხატვასაც. ამდენად იგი კარგ მთქმელთან ერთად კარგი მოლექსეც ყოფილა.

მოლექსე ქალის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მოგვაწოდა მისმა შვილიშვილმა ლატავრა თეთრაულმა, რომელიც დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ინახავს ბებიის პოეტურ შემოქმედებას, ლექსებს რომელთა ნაწილი თვით ჩაუწერია ქალიკელისაგან მოხუცებულობის ჟამს, ნაწილი კი ქალიკელის შვილების მეშვეობით შეუგროვებია.

ქალიკელი დაიბადა 1860 წელს სოფ. ჩარგალში. ბავშვობაში ქალიკელი სუსტი და ავადმყოფი ყოფილა. რაღა არ ულონიათ მშობლებს, მაგრამ ვერაფერი უშველიათ. ბოლოს გადაუწყვეტიათ. ფშავში ცნობილი იღბლიანი კაცის ვაჟა-ფშაველას მამის — პავლესათვის მოენათვლინებინათ. შემდგომში, პავლე ისე დაახლოებია გორზამაულების ოჯახს, იმდენად დაინტერესებულა ქალიკელის მომავალი ბედით, რომ უშუალო მონაწილეობაც კი მიუღია მის გათხოვებაში. ქალიკელი პავლე რაზიკაშვილის სისხლით ნათესავს, ივრის ფშავში სილამაზითა და ვაჟკაცობით სახელგანთქმულ გიორგი თეთრაულს მიათხოვეს (გიორგი თეთრაული ახლაც ახსოვს ხალხს „თათარათ გიორგის“ თიკუნით).*)

ნათესაური ურთიერთობა და მიმოსვლა პავლე რაზიკაშვილისა და ქალიკელის ოჯახებს შორის მისი გათხოვების შემდეგაც არ შეწყვეტილა. თვით ვაჟა-ფშაველა ხშირად დაიარებოდა თურმე არტანში, ქალიკელის ოჯახში და „ყუთით შაქარსა და კანფეტკსაც მოუტანდა ხოლმეო“, გაიხსენა მამიდის ნაამბობი ლატავრამ. ვაჟასთან ერთად ქალიკელს არც მისი ძმები — თედო და ბაჩანა ივიწყებდნენ. ისინი ხშირი სტუმრები იყვნენ გიორგი თეთრაულის ოჯახისა.

ქალიკელსა და ვაჟა-ფშაველას ბავშვობიდანვე დიდი მეგობრობა ჰქონიათ, ვაჟა დას უწოდებდა თურმე ქალიკელს. მათი მეგობრობის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ, როცა ქალიკელს ხუთი ქალის შემდეგ ნანატრი ვაჟი — ივანე შესძენია, ვაჟას პატივსაცემად მისთვის ვაჟა დაურქმევია; დიდ პოეტს კი ჩვილის „პირისანახავად“ სპილოს ძვლითა და ზარნიშით მოსევადებული პატარა და ლამაზი ქართული ხანჯალი მიურთმევია. ეს ხანჯალი ამჟამად ივანეს უფროსი ქალიშვილის — ლატავრას ოჯახში ინახება, როგორც ძვირფასი და უნიკალური რელიკვია.

ახალგაზრდობაში ქალიკელი საკმაოდ ლამაზი და წარმოსადეგი ყოფილა. გარეგნობით მომხიბვლელს მოტრფიალენიც მრავლად ჰყოლია. „ან კი რად არა, — სიამაყით იტყოდა თურმე უკვე მოხუცებული ქალიკელი — რვა ნაჭაპნით* ვატარებდი, ჩემ თმათ ზიდვა მიჭირდის, ბოლონი წვივთა მცემდიანო“.

ქალიკელს ექვსი შვილი — ხუთი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავდა: ვაჟი ივანე (ვაჟა) სამამულო ომში დაიღუპა. დედის გული უსაზღვროდ განიცდიდა საყვარელი შვილის დაკარგვას. რატომღაც გამორჩეულად ჰყვარებია ქალიკელს თავისი ნანატრი ვაჟი. „იმიტომაც წამართვა სიკვდილმა“-ო, გულდამდუღრული იტყოდა თურმე ფიქრებში წასული. ომში წასული შვილის მაგივრობას ქალიკელს ივანეს შვილები — ლატავრა და ბელა უწევდნენ, ამიტომ მუდამ შვილიშვილების ნატვრაში იყო, მათი სიახლოვე სწადდა მარადჟამს. ბებო მოფერებით მათ „ნუკრებს“ ეძახდა. შვილის უსაზღვროდ მოტრფიალე მოხუცი მზესავით უნაწილებდა სითბო-სიყვარულს ობლად დარჩენილ შვილიშვილებს. შვილის დაკარგვის ღრმა ტკივილის განკურნებას ქალიკელი შვილიშვილთა ალერსით ცდილობდა, აკი ამიტომაც ხშირად იტყოდა ხოლმე: „შვილი გულია, შვილიშვილი გულის გულიო“.

სხვათა ლექსების ცოდნასთან ერთად, ქალიკელმა შთამომავლობას დაუვიწყარი და ძვირფასი მემკვიდრეობა დაუტოვა თავისი პოეტური შემოქმედების სახით. „მას კალმად საკუთარი ენა ჰქონდა და ქაღალდად ნათელი გონება. თიანური ზამთრის მდუმარე დღეებში, კერაზე საჩეჩელთან, ანდა ტარ-ფარტენასთან მუხლმორთხმული, ღრმად ხანდაზმული ქალიკელი თავის გონების ფურცლებს ლექსის სტრიქონებით ფარავდა, ზაფხულში კი, ჩვენ, მის „ნუკრებს“ კარნახით გვაწერინებდა უკლებლივ“, — გაიხსენა ლატავრამ.

ქალიკელმა 90 წელზე მეტხანს იცოცხლა. იგი საბოლოოდ წელში გატეხა ერთადერთი ვაჟის ომში დაკარგვამ. მისი ივანე სასახელო მეომარი, გვარდიის პოდპოლკოვნიკი იყო, ღირსეულად შესწირა თავი მამულს. ივანეს დედის ნიჭი დაჰყოლია, საოცრად ჰყვარებია პოეზია და თვითონაც წერდა ლექსებს. დედისადმი ფრონტიდან მიწერილი თითქმის ყველა წერილი მას ლექსად აქვს დაწერილი. მისი ქალიშვილები სათუთად ინახავენ საყვარელი მამის ფრონტიდან გამოგზავნილ ლექსებსაც.

ქალიკელის ახალგაზრდობის დროინდელი ლექსებიდან ყურადღებას იქცევს „დუცობა“, რომელიც დუცის საკრეფად სახედრით წასულ 13-14 წლის ქალიკელს გამოუთქვამს. ავტორი ლექსში საკუთარ თავს ალექსებს. დუცით დატვირთული ტომრები მას სახედრისათვის გადაუკიდია და აჩქარებით გასდგომია სახლისაკენ მიმავალ გზას. სიჩქარისაგან ვირი ქვაზე დამსხლტალა და ბორცვზე გადავარდნილა. დაღონებულმა და ატირებულმა ქალიკელმა „ხე-ქვან დაკაწრა ბწკილითა“, შემდეგ ძებნა დაუწყო ვირს, რომელიც „სახლთ-უკვენ“ მიწაში თავ-პირჩაფლული იპოვა. ქალმა გაჭირვებით მიიყვანა ვირი სახლში.

„ჩამოვიარე, დავკლიე,
ნათარ მეგონა თივისა,
ნასათარივით ეტყობა
ნაგორვი ჩემის ვირისა,
თხილთ უკვენ ჩამომდგარიყო,
თავით დაუფლავ, ცხვირიცა.
ახლოს მიველ და დავკვლიე,
სისხლ წასდიოდა ცხვირისა,
ჯერა ვთქვი: თავქვე დავთარო,
ეგ გზაზე ველარ ილისა,
მემრე ვთქვი: შინ წავიყვანო,
ვავლიო ცოდვა-ჭირითა“.

უკვე გათხოვილი ქალიკელი თავისთავის გალექსებასთან ერთად სხვებსაც ალექსებდა, ოღონდ ობიექტურად და სამართლიანად. თუ ღირსი არ იყო, იგი თავისი პოე-

---

* ნაჭაპნი — ნაწნავი.

* თიკუნი — მეტი სახელი.

ტური სიტყვით არც შეაქებდა ვინმეს და არც გაკიცხავდა. ქალიკელი ამხილებდა ახლობლების მიუღებელ საქციელს და იუმორნარევი კილოთი არიგებდა მათ. იუმორით არის აღსავსე ლექსი „ევა ქალზე", რომელშიც მოლექსე მამის დაუკითხავად გათხოვილ მეზობლის ქალს აღექსებს:

„ზაქარაის ქალმ ევამა
ასრულა გულის წადილი,
მალვივ გაყოლა ქმრისადა
მარჯვე ყოფილა, ადვილი,
რა შორა მიუვიდოდა,
არ მიდის ერთა მანძილი
მეორე დილას ევამა
ქმართანა სჭამა სადილი...
„მამას რო გამოეპარე,
ვა, თუ არ მომცეს ნაწილი",
„ჩემ უკითხავად წავიდა,
ჩემ ჯერ მარილით გაზრდილი".



მოლექსე ქალის ერთადერთი და უკანასკნელი ფიქრი და დარდი ივანე იყო. ქალიკელს ცხადად თუ სიზმრად შვილის სახე ედგა თვალწინ, მის მოლოდინში ათენ-აღამებდა, შვილზე ფიქრებს ლექსებში სტრიქონებად აწნავდა და გულს ოდნავ იოხებდა:

„დედამ გენაცვალა, ივანე,
მზესა ჰგევიხარ, მთვარესა;
მოილი საქართველოსა,
ჰხილულობ ყველა მხარესა,
არ გაითენებ ერთხელა
დედასთან ერთ-ორ ღამესა,
მოხვალ და მომეჩვენები,
დაძლახავ სახლის კარებსა,
ადგები, წახვალ ისევა,
შენ გზას ვაწყალებ თვალებსა".

მოხუცებულობასთან ერთად ქალიკელს მარტოობაც უკლავა გულს. სევდიან განწყობილებას კი ისევ ლექსები თუ შველიდა. ლამაზი ალეგორიით იწყება ლექსი :„მოხუცი დედის ჩივილი".

„ექვსი წიწილა გავზარდე,
ჩემებ შვილები ჰქვიანო,
ექვსივ სხვაკანა ბუდობენ
წიწილეებსა ჰხდიანო,
მე აქ მარტუა გამწირეს
ჩემ ამბავ არ იციანო".

და მაინც მარტოობა ვერ სძლევდა, იმედს არ კარგავდა. ფიქრით ყოველთვის შვილებთან იყო, მათ ეალერსებოდა და ლექსად ეჩურჩულებოდა. წერა-კითხვა არასოდეს სცოდნია, წერილებს კი დღენიადაგ „უგზავნიდა" შვილებსა და რძალს. მერე გვიან, როცა ბედნიერება ეღირსებოდა ერთად ეხილა თავისი „საყოლი", მარტოდ ყოფნაში გამოთქმულ გულისჯავრს კვლავ ლექსად ეუბნებოდა.

ომში დაკარგული შვილის დარდმა და აუტანელმა ჯაფამ წელში გატეხა მოხუცი. ქალიკელი ჯეელობას ნატრობს, რომ ძველებურად შეიძლოს საქმის კეთება. კარს მომდგარი სიბერე მისი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს მოსაწყენსა და უფერულს ხდის. ბედზე დამდურებულ ქალს სიკვდილიც კი სანატრელი გაუხდა:

„სიჯეილესა ვკითხულობ,
თავს არ ვაძლევ სიბერესა,
სულ ბარბაცითლა დავდივარ
ეს სიბერეც მიფერებსა.
ველარ ვერევი საქმესა
ე გულ კი არ ისვენებსა.
მზა მჭამელი ვარ ბებერი,
აქ სანახ აღარ მინდაო,
განა ცოტაის ხნისა ვარ,
ჩემ დრო-ხან გადავიდაო,
ხელში ყავარჯენ მიჭირავ,
წელში ბოწკინტა მიდგაო,
გამხმარას პურას ვერა ვჭამ,
ე კბილებ აღარ მიდგაო".

საკუთარი უძლურებისა და შვილის დაკარგვით გაგნებული დედის სიტყვებში აშკარად იგრძნობა ერთგვარი გულგატეხილობა. მოლექსემ კარგად იცის, რომ წარსულის დაბრუნება შეუძლებელია.

„გიყიდი სიჯეილეო,
საყიდ რო იყო ფასითა,
ძნელი ყოფილა სიბერე,
სიცოცხლე რადამ მამწყინდა,
აღარც სიკვდილი მეღირსა,
არ ვიცი საით გამცილდა".

ბოლო ხანებში ქალიკელი დაყრუვდა კიდეც, მაგრამ ლექსების თქმა მას სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე არ შეუწყვეტია. ის ხომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ლექსად ლაპარაკობდა. უცნაური იყო პოეტი ქალის სიკვდილიც. უკვე ღრმად მოხუცებულმა, მაგრამ ჯერ კიდევ გონებანათელმა ქალიკელმა სიკვდილ-სიცოცხლის აგონიის დროს დატოვა თავისი უკანასკნელი პოეტური სიტყვა, რომელსაც მისმა შვილებმა „სიზმარი-ანდერძი" უწოდეს. მას ენა აღარ ემორჩილებოდა, მისი ერთ-ერთი ქალიშვილი კი მომაკვდავის ტუჩებთან ყურმიდებული ამთელებდა დედის ამონალუღლუღევს და ასეთი წვალებით გადაჰქონდა ქაღალდზე:

„ცის ნაპირსა მყავ სილაღე,
დედა ენაცვალოს, სახელსა,
გულსაც იქიდან მიმთელებს,
იქით მინათებს სანთელსა.
მე სულ რკინისა ვყოფილვარ
რა შეუძლია ქვა-ხეთა.
რარიგ გული აქვ დედასა,
ლამაზი შვილის გამზდელსა...
თუ შვილი ვნახე თვალითა
უნდა გავტეხო ლხინია,
სუ ვითამაშო, ვიცეკვო,
გვერდს დავიყენო შვილია,
სიკვდილის პირას ბრმა-ყრუვმა
შორს გადავაგდო ჭირია.
შვილ არ მინახავს თვალითა
ცამეტ-თოთხმეტი წელია,
ისეთ ჭირ-ვარამ გადამხდა,
უნდა მამეჭრა ყელია,
მტრის კარსა ისეთ ამბავი
აბა, რა სანატრელია...
სიტყვას გიწირავთ სახსოვრად
სასულიეროდ ჩემია,
აიღეთ საწერ-კალამი,
ყველამ დაჰკარით ხელია,
თეთრი ჩიქილით მიუალ
ტყეში რომ ღთიშობელია,
მიდღეგრძელებენ შვილებსა,
სადაც თავ-ხევისბრებია,
მე კი შენდობა მითხარით
არავისი ვარ მტერია,
ასის წლისა ვარ ბებერი
ე მაგ სიტყვების მთქმელია,
არტანში გამოთხოილი,
ქალი ვარ ჩარგალელია".

სიკვდილის პირას მისულ დედას კვლავ თავისი ერთა ელანდება, კვლავ შვილს დატრიალებს მოხუცის გრძნობა, ფიქრი და ოცნება.

ქალიკელი 1953 წელს გარდაიცვალა, 93 წლის ასაკში. უკვე ღრმად მოხუცებული, მაგრამ გარეგნულად მაინც მხნე და გაუტეხელი. ქალიკელის სიკვდილით კიდევ ერთი მანათობელი ვარსკვლავი ჩაქრა ქართული ხალხური პოეზიის ცაზე.

**თამილა გოგოლაური,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ტყუპი გოგონები გაკვირვებულნი შესცქერიან ცრემლმორეულ დედას, რომელიც ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვება ჩვენთან მოსვლის მიზეზს.

— თ. გ-სა და ბ. მ-ს. ერთმანეთი სკოლის მერხიდან ჰყვარებიათ. სატრფიალო ბარათებითაც უჯერებიათ გული. ყველაფერი შესაშურად დასრულებულა, როგორც ზღაპარში. ტყუპი გოგონებიც შესძენიათ, ახლა კი სოფლის ყბაში ჩაცვენილან და უკლებლივ ყველა მათზე ალაპარაკებულა.

— აბა ეგ რა ცოლ-შვილის ღირსი იყოო... მაგისთვის ქალი ვინ გაიმეტაო. ამბობენ თანასოფლელები ტყუპების მამაზე.

სოფლის თავკაცებიც ჩარეულან ოჯახურ დავიდარაბაში. ქალისთვის რჩევა მიუციათ, ცალკე გამოდი, არაფერს გაგიჭირვებთო. თ. გ-ს კი ქმრის მუქარისა შეშინებია და კეთილი ადამიანების დახმარებით ელის, დღეს თუ ხვალ ხასიათი შეეცვლება, მამობას შეიგრძნობს, გამოსწორდება.

უსაფუძვლო ეჭვი დაპატრონებია ახალგაზრდა კაცის გონებას. შეაბიჯებს თუ არა სახლში, იწყება ორომტრიალი, საცემრად მიიწევს ცოლზე, — დაღვრემილი რად ხარ, ვისზე ფიქრობო, მეზობელთან რად გადახვედიო.. ამას ზედ ერთვის ნივთებისა და ფანჯრების მსხვრევა, დაფეთებული ბავშვების ტირილი, მეზობლების თავშეყრა და შეგონებების კითხვა იმ კაცისათვის, ვისაც კაცურს ვერაფერს ვაგულებთ.

* * *

გვჯერა, რომ ამ უსიამო ეპიზოდმა სხვანიც გაგახსენათ ნაცნობ-უცნობთაგან. ისინიც ხომ ასე ერთი ხელის დაკვრით აცამტვერებენ წლების მანძილზე ნალოლიავებ სიყვარულსა და ერთგულებას. დასანანია, რომ მათი უმრავლესობა კაცები არიან — ჩვენი ოჯახების ბურჯნი და უფროსები. ქართული ანდაზა ამბობს „ქალი ქმრითაო", მაგრამ ანდაზის შემთხზველი ბრძენი ხალხი ალბათ კაცურ კაცს გულისხმობდა და არა კაცუნებს.

ჩვენც მოთმინებას ვუკიჟინებთ ტყუპების დედას, იქნებ მოხდეს სასწაული და ცრემლებშემშრალი გვეჩვენოს. აბა როგორ უნდა ვუთხრათ, რად თხოვდებოდი, შინ გეყურყუტა მამის კერაზეო, როცა, დიდი ილიასი არ იყოს, ცოლ-ქმრობის საკითხი თურმე ცაში რიგდება.

არცერთ ქვეყანაში არ არსებობს უფრო დიდი სიხარული, ვიდრე ახალი ოჯახის შექმნაა და არ გვეგულება უფრო დიდი დარდი, ვიდრე ვაჟის უცოლოდ და ქალის გაუთხოვრად დაბერებაა. „გაუთხოვარი ქალი და გაუსვენებელი მკვდარი ერთიაო", — ჩავიწერეთ ერთხელ მთათუშეთში მოგზაურობის დროს.

ამ ცოტა ხანში აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში მომიწია ყოფნა. საითაც არ მივდექი, ყველგან ერთსა და იმავე შემზარავ ამბავს ყვებოდნენ.

— ეს რა ცოდვა-ბრალი დატრიალებულა, ოთხი შვილის დედა სასიკვდილოდ დაუჭრია ქმარს ნაჯახით, ვენახიდან გვიან რად მოხვედიო. ამაზევე ბჭობდნენ ავტობუსში: ვენაცვალე ხელებში, მეც ასევე მოვიქცეოდიო, — საზეიმოდ შესძახა მძღოლმა. ჭაღარა ქალმა კი, თითქოს ამოიკვნესაო, საყვედურით მიმართა:

— რათა, შვილო, თუ ეგრე ვერ მორევიხარ შენს ზნესა, გაეყარე, ქვეყანა დიდია, დედას რადღა უკლავ შვილსაო.

* * *

ახლა კი საგულდაგულოდ დაწებებული კონვერტები გავხსნათ. ნამალავად რომ გამოუგზავნიათ რედაქციისთვის, ქმრების უსაგნო ეჭვიანობით გულდაღალულ ახალგაზრდა თუ ხანშიშესულ ქალებს.

— სიყვარულით გავთხოვდი — იწერებიან მაიაკოვსკიდან. მთელი რაიონი შემოგვნატროდა, ნეტავი თქვენო! მაგრამ მალე დაგველია სიხარული. მეუღლეს საკმაოდ კარგი თანამდებობა უჭირავს, ყველა პატივს სცემს. კეთილია, ენაწყლიანი, მხიარული, ოღონდ, ეს ყველაფერი... გარეთ.

როგორც კი ოჯახში ბრუნდება, იწყებს ეჭვიანობას, აყალმაყალს, უშვერ სიტყვებს (რასაკვირველია შვილების გასაგონად), და ასე გადის კოშმარული თერთმეტი წელი. ამ ხნის განმავლობაში არა მაქვს უფლება შევიკერო მოკლესახელოებიანი კაბა, წავისვა პომადა, გავიკეთო მზის სათვალე, კინოსა და თეატრზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ბოლო წლებში პანაშვიდებზე წასვლის უფლებაც ჩამომერთვა...

ამას კი არა, უარეს წამებასაც ავიტან, ბავშვები რომ არ მიმახინჯდებოდნენ სულიერად, რომელთაც საცაა ღიმილიც გადაავიწყდებათ. მრცხვენია ექიმ ქალს თქვენი შეწუხება, მაგრამ, იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე?..

ერთი ბარათიც: — „კარგა ხანს ვიკვებებოდი ოცნებებით, — გვწერს სამედიცინო ინსტიტუტის მეხუთეკურსელი გოგონა, — რის შემდეგაც გარიგებით გავთხოვდი. უბედნიერესად ვთვლიდით თავს მე და ჩემი მეუღლე. მაგრამ მალე უღიმღამობის ელფერი დაედო ჩვენს სიხალისეს. ადამიანები თურმე ურთიერთობაში ავლენენ საკუთარ თავს, საკუთარ პიროვნულ თვისებებს. ჩვენს ბედნიერებას ჩრჩილი შეეპარა. მეუღლის უზომო და უმიზეზო ეჭვმა სიცოცხლე მომიწამლა. ხანდახან ვფიქრობ, იქნებ თავის მოკვლა ჯობს-მეთქი, მაგრამ ჩემი ბიჭუნა რატომ უნდა იყოს უდედო, ის ხომ ჯერ ძუძუსაც არ მოსცილებია... მიშველეთ, მირჩიეთ; როგორ მოვიქცე, ვის ან რას მივმართო?

* * *

ეჭვი ხომ დაავადებაა და ამ დაავადების სამკურნალოდ საჭიროა მეტი გამჭრიახობის უნარი მოვთხოვოთ საკუთარ თავს, არასოდეს არ ვენდოთ, ნაადრევ განსჯას. გარდა ამისა, საჭიროა რომ სხვაც საკუთარი თავივით გვიყვარდეს, შვილები კი, რასაკვირველია, თავზე მეტად.

რაც შეეხება ცოლ-ქმრობას, ის ხომ სიყვარულს, ნდობასა და მოთმინებას ეყრდნობა? ასე რომ, ეჭვს ცოლ-ქმრობასთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს. ხშირად კი გვსმენია უმეცართაგან, „თუ მეუღლეს ეჭვი გაუჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ უყვარხარო". ვერაფერიშვილი აღმოჩენაა! ეჭვს რომ ვინმესთვის სიკეთე მოეტანოს, ჯერ არავის უნახავს, მისგან განაწამებ ცოლებსა თუ ქმრებს კი ალბათ, სათვალავიც არ ექნება.

გასაკვირი ისღაა, რად სწირავენ ასე ულმერთოდ ადამიანები თავიანთ თავს, ირგვლივ მყოფთ და, უპირველეს ყოვლისა, შვილებს? რად არ იმეტებენ სითბოს მათთვის, ვის წინაშეც ვალდებულნი და მოვალენი არიან?

ეს სატკივარი აღელვებდა ერთ ბერძენ ფილოსოფოსსაც ამ რამდენიმე ათასწლეულის მიღმა, როცა ამბობდა: ...რატომ ხდება, რომ ადამიანმა იცის, თუ რა არის კარგი და მაინც იმას აკეთებს, რაც ცუდიაო.

ძვირფასო მკითხველებო, იქნებ ერთად შევეცადოთ და ვუშველოთ ჭიანაჭამ ოჯახებს. ველით თქვენს ბარათებს, მანამდე კი ზოგიერთი კაცის გასაგონად გავიხსენოთ რუსი პოეტის — ევგენი დოლმატოვსკის ლექსის ორიოდ პწკარი (თარგმანი ნაზი კილასონიასი):

„ეს ჩვენ გავუვლეთ შუბლზე ღარები,
ჩვენ ამოვუვსეთ ცრემლით თვალები.
სამაგიეროდ, რა სიმდიდრეა,
ოდეს ვაღმერთებთ ქალში იდეალს...
. . . . . . . .
დიახ, არც მეტი და არ ცნაკლები,
კაცნი ვართ ქალის მოქანდაკენი!"

თინა რეხვიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი



# რძალი

რომანტიკულია მისი ბედი. ჩვიდმეტი წლისა იყო თამარ ლევანის ასული დოლაბერიძე, თბილისის საშუალო სკოლა რომ დაამთავრა და ცოლად გაჰყვა ლენინაკანელ სამველ ხაჩატრიანს, კარგ ახალგაზრდას. მისმა ოჯახმა სიხარულით მიიღო სიმპათიური, ცისფერთვალა ქართველი რძალი.

მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი. სამველმაც ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა. ფრონტზე გამგზავრებისას მან სთხოვა თამარს ჩემ ჩამოსვლამდე თბილისში, მშობლებთან დაბრუნდიო. თამარი არ დაეთანხმა და შეჰპირდა, ლენინაკანში დაგელოდებიო.

ეს დღეც დადგა. გვარდიის მაიორი სამველ ხაჩატრიანი 1418 დღის შემდეგ ომგადახდილი, გამარჯვებული და მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა შინ. გული სიხარულით აევსო, როცა გაიგო, რომ მისი ახალგაზრდა ცოლი ლენინაკანელ ქალებთან ერთად ყოველნაირად ეხმარებოდა ფრონტს, აგროვებდა საჩუქრებს საბჭოთა არმიისათვის, რისთვისაც ქებასა და ჯილდოებს იმსახურებდა.

დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება. თამარს უმაღლესი განათლების მიღება სურდა, მაგრამ საამისოდ სომხური ენა კარგად უნდა სცოდნოდა.

სამველი მისი პირველი მასწავლებელი იყო. იგი ქალაქის საბჭოში განათლების განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ნალბანდიანის სახელობის ლენინაკანის პედინსტიტუტის დოცენტად ითვლებოდა და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ჰქონდა. თამარმა ქმრის დახმარებით საფუძვლიანად შეისწავლა სომხური ენა და 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წელს ლენინაკანის აკოფ აკოფიანის სახელობის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

პირველი დღიდანვე მოიპოვა თამარმა მოსწავლეთა სიყვარული. ის სომხურ ენაზე გადასცემდა ბავშვებს ისტორიის კურსს, აცნობდა მათ ქართველი და სომეხი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, ქართულ კულტურას, ხელოვნებას, ლიტერატურას.

თამარის გაკვეთილებს ესწრებოდნენ ახალგაზრდა ისტორიკოსები. მასწავლებელი ყველას აოცებდა საგნის ღრმა ცოდნით, სომხურ ენაზე სრულყოფილი მეტყველებით. 1952 წელს მოწინავე პედაგოგი კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს, აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის პირველადი პარტორგანიზაციის მდივნად აირჩიეს. 30 წლის მანძილზე თამარმა 1500-მდე ახალგაზრდა აღზარდა, ცოდნას აზიარა და კარგი მოქალაქეობრივი თვისებები ჩაუნერგა.

ღირსეულად დააფასეს თამარ დოლაბერიძის თავდადებული შრომა. 1963 წელს ის სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს. 1968 წელს კი სომხეთის სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭეს.

ახლა ქალბატონი თამარი პენსიაზეა, მაგრამ აგრძელებს სკოლასთან, პედაგოგებთან კავშირს, საუბრებს აწყობს ახალგაზრდებთან, — აცნობს მათ სომეხი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ისტორიას.

ოჯახშიც ბევრი საზრუნავი აქვს. ჰყავს სამი შვილი — ორი ვაჟი და ერთი ქალი. ყველამ უმაღლესი განათლება მიიღო და პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობენ. ხაჩატრიანების ოჯახში შემოვიდა ახალგაზრდა ქართველი რძალი — ნანა. თამარს შვიდი შვილიშვილი ჰყავს, რომლებიც გარს ეხვევიან ბებიას.

ლენინაკანში ორმოცდაათამდე ქართული ოჯახია. ისინი მეგობრობენ თამარის ოჯახთან, ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. საქართველოდანაც ჩამოდიან სტუმრები. ლენინაკანში, საიათნოვას ქუჩაზე მდებარე № 2 სახლში მათთვის ყოველთვის ღიაა კარი.

აშოტ ხაზარიანი

## პატარა „საქართველო“

ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“ რესპუბლიკის ერთ-ერთი ულამაზესი თაიგულია.

გაზეთებიდან

ზუგდიდთან ახლო, რუხში,
გაშლილა „საქართველო“,
მასაც მამულის გვარად
ამკობს ვარდი და მდელო.
ეს მცირე „საქართველო“
ასლია დიდი ქვეყნის,
პანიაა და მიტომ
ლექსსაც პანიას ვეტყვი:
აფხაზეთია გაღმა,
გამოღმა — სამეგრელო,
გვაქვს სიყვარულის ხიდი,
ერთი მზე, ერთი ლელო,
ერთი მიზანი დიდი,
შუქჩაუმქრალი ღვანლი.
ერთი ძიძა ჰყავს ტკბილი,
ორ უბერებელ ყმაწვილს.
დუშმანთან მკაცრი, მაგრამ
სტუმართმოყვარე, უხვი.
აი, რათ გვიყვარს ყველას
ჩვენი მზისფერი რუხი.
ძველ ძმობას ვერვინ დაშლის,
მძლავრია ძალა ერთა.
დიდი სეხნიის სახის
მინიატურული ასლი —
„საქართველო“ დღეს ხარობს
ჩაით, ვაზით და ხალხით
დუშმანთან მკაცრი, მაგრამ
სტუმართმოყვარე, უხვი..,
აი, რად გვიყვარს ყველას
ჩვენი მზისფერი რუხი.

შალვა შენგელი

## ჩვენი ვეტერანები



# ამაგდარი

სამუშაო მაგიდასთან თეთრხალათიანი, სანდომიანი სახის დარბაისელი მანდილოსანი ზის. რა დროსაც უნდა მიხვიდეთ მასთან, თავისი საქმით არის გართული, ფირების სამეფოში ხომ საქმე ულევია, მაგრამ ლუბა გოშაძე ყოველთვის გამოძებნის ხოლმე დროს, რათა დაეხმაროს, სასარგებლო რჩევა მისცეს კოლეგას. იგი დაუზარელად და დიდი მონდომებით უძღვება კინოქრონიკის სამონტაჟო საამქროს რთულ და შრომატევად მეურნეობას. კინოგადამღებთა შრომა დასრულდება და ფირზე აღბეჭდილი მასალა დასამუშავებლად კინოლაბორატორიას ეგზავნება. მუშაობა მეტისმეტ სიზუსტესა და პროფესიულ დაოსტატებას მოითხოვს. ლუბა საამქროს მემონტაჟეებს თავს დასტრიალებს, გვიან ღამემდე უზის სამუშაო მაგიდას, რომ სტუდიას დროულად ჩააბარდეს პროდუქცია. ლ. გოშაძეს ყველაზე კეთილშობილურ საქმედ ახალგაზრდობის აღზრდა მიაჩნია, — თუ როგორ შეხვდები საამქროში ახალმოსულს, რა სითბოს შეაგებებ და შეაყვარებ პროფესიას, აი ეს არის მთავარი, — ამბობს იგი. ლუბას დიდი ღვაწლი მიუძღვის სამონტაჟო საამქროსათვის კადრების მომზადებაში.

ლ. გოშაძემ უკან მოიტოვა კინოსტუდიაში მუშაობის 45 წელი. სამამულო ომის მძიმე დღეებს იგონებს. სტუდიიდან ბევრნი წავიდნენ ფრონტებზე: აქ დარჩენილებსაც უხდებოდათ მძიმე სამუშაოების შესრულება; ღამეებს ათევდნენ, ფრონტიდან მიღებულ კინოფირებს ამონტაჟებდნენ. მან მოამზადა ფრონტელი კინომუშაკების, რეჟისორებისა და ოპერატორების ი. კანდელაკის, შ. ჩაგუნავას, გ. ასათიანის, ლ. არზუმანოვის, გ. ნარიმანიშვილის, ა. სმირნოვის, ა. პოლოსოვის მიერ ტყვიის ცეცხლში გადაღებული დოკუმენტური ფილმები: „ბრძოლები ორჯონიკიძის მისადგომებთან“, „ფრონტის ხაზზე“ „არმიის გენერალი ჩანჩიბაძე“, „ფაშისტ მხეცთა კვალდაკვალ“.

რეჟისორის ასისტენტად მუშაობის დროს ლ. გოშაძემ დამოუკიდებლად გამოუშვა კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს“ 14 ნომერი, ამას გარდა, რეჟისორობდა „ნორჩ თაობას“, „პიონერს“, „სპორტს“, მასვე ეკუთვნის „ახალი ამბების“ 124 ნომრის დუბლირება, გადაღებული აქვს ორნაწილიანი კინონარკვევი „საქართველოს სამხედრო გზით“, „ნატო ვაჩნაძის დაკრძალვა“, „მთის ბილიკებით“ და „კოშკების სამყაროში“.

ლუბა კინოპერიოდიკის დარგშიც მუშაობს კინოქრონიკაში. სწორედ მისი ინიციატივით შეიქმნა კინოფილმების მატიანე. ამ საქმემ დიდი დახმარება გაუწია ტელესტუდიას ჩამოყალიბების პერიოდში. იგი კოლეგებს უყვართ კეთილი გულისათვის, შრომისმოყვარეობისათვის, აფასებენ გამოცდილ მუშაკს.

თავდადებული და უმწიკვლო მუშაობისათვის პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასა მისი ღვაწლი: ლუბა გოშაძეს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა; დაჯილდოებულია მედლებითა და სიგელებით. ამჟამად კინოქრონიკის წარმოებაში მრავალი ფილმია ჩაშვებული. ამ ფილმებს დასტრიალებს ამაგდარი ხელოვანის ფიქრები. მისი ღვაწლი მნიშვნელოვანია ეროვნული კინემატოგრაფიის განვითარებაში.

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში ამიტომ უყვართ ფუტკარივით მშრომელი ადამიანი.

ზაირა თოფურია

## კულინარია

### ბადრიჯნის მარინადი

ნორჩი, თხლად კანმოცილებული ერთი კილოგრამი ბადრიჯანი დაჭერით მრგვალ ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი, გადააფარეთ სუფთა ტილო და სამი საათი გააჩერეთ. მერე თითოეული ან ორ-ორი ბადრიჯნის ნაჭერი ხელით კარგად გაწურეთ, რომ სითხე არ შეჭყვეს, ოღონდ, ბადრიჯნის ნაჭრებს ფორმა არ შეუცვალოთ. ასეთი სახის გამზადებული ბადრიჯანი ერთ წყებად მოათავსეთ ზეთიან ცხელ ტაფაზე და ორივე მხრიდან კარგად შეწვით (ნელ ცეცხლზე). ბადრიჯნის შეწვას ნახევარი ჩაის ჭიქა ზეთი დასჭირდება.

გასუფთავებული, გარეცხილი ორასი გრამი ხახვი მრგვალ, თხელ ნაჭრებად დაჭერით. ერთი ჩაის ჭიქა ღვინის ძმარს შეურიეთ ნახევარი ჩაის ჭიქა წყალი და ჩაასხით სუფთა ქვაბში. დაუმატეთ თორმეტი ცალი ბაჰარი, ერთი დაფნის ფოთოლი (საშუალო სიდიდისა), ერთი სუფრის კოვზი მარილი, ადუღეთ ორ-სამ წუთს და შემდეგ გააციეთ.

ქილაში ერთ ფენად მოათავსეთ დაჭრილი ხახვი, შემდეგ ორ ფენად გამზადებული ბადრიჯანი, შემდეგ ისევ ხახვი, ბადრიჯანი და ასე შეავსეთ ქილა. მერე დაასხით გაციებული მარინადი. ზემოდან დაასხით ადუღებული და მერე გაციებული ზეთი (ორი სანტიმეტრის სისქეზე). ქილის ნაპირი სუფთა ტილოთი ან ქაღალდის ხელსახოცით კარგად გაწმინდეთ და ჰერმეტულად მჭიდროდ მოუკარით თავი, რომ შიგ არსაიდან ჰაერი არ შევიდეს. შეინახეთ მშრალ, გრილ ალაგას.

### კომბოსტოს მარინადი

გასუფთავებული, გარეცხილი ერთი კილოგრამი კომბოსტო წვრილად დაკეპეთ, შეურიეთ მარილი (ერთი სუფრის კოვზი), ხელით ცოტა დასრისეთ, გაწურეთ, მოათავსეთ სუფთა ქილაში, დაასხით გაციებული მარინადი, თავი მჭიდროდ მოუკარით და ჩვეულებრივი წესით შეინახეთ.

მარინადი ასე მოამზადეთ: სუფთა ქვაბში ჩაასხით ერთნახევარი ჩაის ჭიქა ღვინის ძმარი, ორი ჩაის ჭიქა წყალი, ჩაყარეთ ნახევარი სუფრის კოვზი მარილი, ნახევარი ჩაის ჭიქა ფხვნილი შაქარი, ათი მარცვალი ბაჰარი, ერთი დაფნის ფოთოლი, ნახევარი სუფრის კოვზი მარილი, ადუღეთ და შემდეგ გააციეთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## აჯიკა
## (მარტივი წესით მომზადებული)

აიღეთ ერთი კილოგრამი ცხარე მწვანე წიწაკა, ხუთასი გრამი ტკბილი მწვანე წიწაკა, ქინძი ნორჩი, გაფოთლილღეროებიანი (ორასორმოცდაათი გრამი.) ოხრახუში ნორჩი, გაფოთლილღეროებიანი (ორასორმოცდაათი გრამი), უთესლო ცერეცო (ორასორმოცდაათი გრამი), ნიახური ნორჩი, გაფოთლილღეროებიანი (ასორმოცდაათი გრამი), გემოვნების მიხედვით ნიორი და ყველაფერი ეს გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. შემდეგ დაუმატეთ დანაყილი ქინძის მარცვლის თესლი (ერთი სუფრის კოვზი), ღვინის ძმარი, მარილი (გემოვნების მიხედვით) და ძალიან კარგად აურიეთ.

მიღებული მასალა მოათავსეთ ქილაში, ისე, რომ 3/4-ით შეავსოს, მჭიდროდ მოუკარით თავი და შეინახეთ მშრალ, გრილ ადგილას.

აჯიკის მომზადება რეკომენდებულია ოქტომბერში.

აჯიკა წითელი წიწაკისაგან ასეთივე წესით მზადდება. მასალა იგივეა, მხოლოდ ემატება ერთი სუფრის კოვზი დანაყილი სუნელი.

## მწვანე პამიდვრის მურაბა

წვრილი, ქლიავის მოყვანილობის მწვანე პამიდორი (ერთი კილოგრამი) გარეცხეთ და მოათავსეთ მდუღარე წყალში. ხარშეთ 10-15 წუთი. შემდეგ გადაიტანეთ თუშფალანგში და შეაგრილეთ. მოხარშეთ სიროფი ერთი კილოგრამი შაქრისა და ორი ჩაის ჭიქა წყლისაგან. მოათავსეთ შიგ შეგრილებული პამიდორი, გააჩერეთ 2-3 საათი. შემდეგ დადგით ცეცხლზე და ადუღეთ 20-25 წუთი, გადმოდგით ცეცხლიდან და გააჩერეთ ორი საათი. ასე მოიქეცით სამჯერ. საბოლოოდ ისევ დადგით ცეცხლზე. ხარშვის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ჩაუშვით შიგ სუფთა პატარა ნაჭრის პარკში მოთავსებული ხუთი ცალი მიხაკი, ხუთი გრამი დარიჩინი, ორი ცალი ილი. როცა მურაბა მზად იქნება, პარკი ამოიღეთ.

## ხახვის მურაბა

გასუფთავებული თეთრი ჯიშის ხახვი (ერთი კილოგრამი) გარეცხეთ, დაჭერით ალყა-ალყად, დაასხით მდუღარე წყალი (ორი ჩაის ჭიქა), დადგით ცეცხლზე და ადუღეთ, სანამ ხახვი არ შერბილდება. მერე დააყარეთ ერთი კილოგრამი ფხვნილი შაქარი, დაასხით მდუღარე წყალი (ორი ჩაის ჭიქა) და ხარშეთ, სანამ მზად არ იქნება.

## კომშის მურაბა

გარეცხილი, გათლილი, დაჭრილი კომში (ერთი კილოგრამი) ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით ცივი წყალი (წყალი კომშს უნდა ფარავდეს) და ხარშეთ შერბილებამდე. შემდეგ ქაფქირით ამოალაგეთ კომში წვენიდან და ლანგარზე მოათავსეთ ერთ ფენად. მურაბის ტაშტში ჩაყარეთ ერთი კილოგრამი ფხვნილი შაქარი, დაასხით გაწურული კომშის ნახარში (ორი ჩაის ჭიქა) და მოადუღეთ სიროფი. შემდეგ ჩააწყვეთ გამზადებული კომში და ხარშეთ ნელ ცეცხლზე შემზადებამდე.

## ყურძნის წვენის დაკონსერვება

მწიფე, კარგი ხარისხის ყურძენი გარეცხეთ, მოაცილეთ დამჭკნარი და დაობებული ნაყოფი. არგია, თუ მოაცილებთ კლერტს. გაჭყლიტეთ ქვაბში ხის ფილთაქვით, მერე ორსამჯერ გაატარეთ ხელის საწნეხში, შემდეგ გაფილტრეთ ან გაწურეთ უჟანგავი ფოლადის ბადეში ან დოლბანდში. გააცხელეთ 95, 100⁰ ტემპერატურამდე მომინანქრებულ ქვაბში და ცხელი ჩაასხით წინასწარ დამუშავებულ შუშის ტარაში და დახუფეთ. 10-15⁰C-ზე გაუკეთეთ პასტერიზაცია.

**თამარ სულაქველიძე**



## პიზანელო — „დესტეს სახლის პრინცესა“

XV საუკუნის ვერონელ ოსტატთა შორის დიდად პოპულარული იყო პიზანელოდ ცნობილი ანტონიო პიზანო (1395-98—1450-55).

არისტოკრატიის საყვარელი მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი, განთქმული მედალიორი პიზანელო ფრესკებს და სურათებს წერდა რელიგიურ და საერო თემებზე.

უმღეროდა რა ისტორიული არენიდან მომავალი ფეოდალური კლასის ცხოვრებას, იგი ხატავდა მოდურ, პრეტენზიულ სამოსში გამოწყობილ პრინცესებს, ასრულებდა ნახატებს ქსოვილებისათვის, საიუველირო ნაკეთობებისათვის.

პორტრეტული ჟანრის სფეროში პიზანელო სამედალიორო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშების ავტორად არის ცნობილი. ხოლო რაც შეეხება ფერწერულ სტატიკურ პორტრეტებს, შესრულებულს მკაცრი ხაზებითა და ძუნწი კოლორიტით, ისინი ანტიკურ კამეაზე გამოსახულ პროფილებს უახლოვდება.

გთავაზობთ ფერწერულ პორტრეტს — „დესტეს სახლის პრინცესას“.

გარეკანის პირველ გვერდზე: მხატვარ რენო თურქიას ფერწე რული პორტრეტი — „ქეთევან ანანიაშვილი“;
მეოთხე გვერდზე: პიზანელოს — „დესტეს სახლის პრინცესა“. პრინცესა“.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ქღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ.მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5/X 81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/X 81 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 134.100. შეკვ. 2281. უე 08635



„ფისუნია. კატაო"...
ჯემალ კასრაძის ფოტოეტიუდი

ინდექსი 76178

ფასი 30 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6123/168

